თებერვალი, 1939 წ. პარიზი. № 9 (88) Paris, Février 1939

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.

შინაარსი: 1) კ. გ.—პოლიტიკური მდგომარეობა; 2) კ. კ. ეკონომიური წერილები; 3) ბ. არიძე—უკრაინა; 4) ხან. მენ.—მორიგი ისტერიკა; 5) გრ. ურატაძე—ზოგი რამ; 6) ვლ. მგელაძე—საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში; 7) ისარი—საბჭოთა ცხოვრებიდან; 8) ეშ. ლომ-ძე—წერილი ჩეხო-სლოვაკიიდან; 9) სოციალისტური ინტერნაციონალი; 10) გრ. ურ.—მშვენიერი საღამო; 11) ბიბლიოგრაფია. და სხვ.

პოლიტიკური მდგომარეობა

ჩეხოსლოვაკიის ამბების კიდევ ორი სამი თვით წინ ინგლის-საფრანგეთის დიპლომატია დიდ ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა ცენტრალურ ევროპაში, ბალკანეთში და წინა აზიაში, რათა ყველგან იქ ინგლის-საფრანგეთის გავლენა განემტკიცებია. ამას ინგლისის მთავრობა არც კი მალავდა და აშკარად აცხადებდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნებისადმი მის მიერ განზრახულ ფინანსიურ-ეკონომიურ დახმარებას ჰქონდა არა მხოლოდ ეკონომიური, არამედ უფრო პოლიტიკური მიზანი. ამ მიმართულებით ინგლის-საფრანგეთი დიდ აქტიობას იჩენდენ გერმანია-იტალიის, განსაკუთრებით გერმანიის, წინააღმდეგ ოსმალეთში, რუმინიაში, უნგრეთში, ბოლგარიაში, საბერძნეთში და იუგოსლავიაში. ჩეხო-სლოვაკიაზე არაფერს ვამბობთ, რადგანაც ის სავსებით საფრანგეთის ორბიტაში იმყოფებოდა. ყველაფერი ეს თვალსაჩინო ფაქტი იყო გერმანიისათვის და მთელი გერმანული პრესა სასტიკად ილაშქრებდა დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საქმიანობის წინააღმდეგ და ბრალს სდებდა მათ, რომ ისინი ცდილობენ გერმანიის იზოლიაციას და მის ეკონომიურად განავებას.

გერმანიამ გადასწყვიტა ასეთი მდგომარეობა ძირიანად და ერთი დაკვრით შეეცვალა. მისი აზრით ამისათვის საჭირო იყო პირველ ყოვლისა ჩეხოსლოვაკია მოკავშირეების გავლენისაგან გამოეგლიჯა და აქედან ბალკანეთის ქვეყნებისკენ ღია კარები ჰქონებოდა. მიუნხენის კონფერენციით გერმანიამ ეს კარები გაიხსნა. მას დაუთმეს ჩეხო-სლოვაკიის ერთი უმდიდრესი ნაწილი, მაგრამ ამით მისი ეკონომიური ექსპანსიის წყურვილი არ შენელებულა. წინააღმდეგ, სუდეტის განვითარებული მრეწველობა მიემატა გერმანიისას და მით მას კიდევ უფრო ფართე უცხო ბაზარი, თუ შინ შემოსატანი მეტი ნედლი მასალა სჭირდება.

ჩეხო-სლოვაკიის ამბებმა და გერმანელების დიპლომატიურმა გამარჯვებამ გერმანიის ავტორიტეტი და პრესტიჟი დიდად გაზარდა. ანკარაში, სოფიაში და ბელგრადში საჩქაროდ გაგზავნილ იქნა ნაციონალური წარმოების მინისტრი, რომელსაც უნდა ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ბალკანეთში და ახლო აღმოსავლეთში გერმანიისათვის ეკონომიური უპირატესობანი მოეპოვებინა.

წინეთ ფიქრობდენ, რომ გერმანიას საშუალება არ ჰქონდა კრედიტი სხვებისთვის მიეცა და ამის გამო მისი ეკონომიური გაძლიერება და სხვებზე გაბატონება ფერხდებოდა. მაგრამ ეს მართალი არ გამოდგა: გერმანიამ ოსმალეთს 150 მილიონი მარკის გრძელ ვადიანი კრედიტი მისცა და ასეთივე შესთავაზა ბოლგარიას და იუგოსლავიას. ეხლა საიდუმლოებას აღარ შეადგენს, რომ დარდანელის სიმაგრეებს აშენებენ გერმანელები იმ თანხებით, რომელიც ოსმალეთს ინგლისმა მისცა და ოსმალეთისათვის იარაღი მზადდება კრუპის ქარხნებში იმ ფულების ანგარიშზე, რომელიც პარიზის ბირჟაზე იქნა ნასესხები.

ავსტრიის და სუდეტის შემოერთებით გერმანიის უმთავრესი მიზანი დაკმაყოფილებულ იქნა ცენტრალურ ევროპაში, მაგრამ ამით მისი მოთხოვნილებები არ თავდება. გერმანიის სახელმწიფო მოღვაწენი აშკარად აცხადებენ, რომ მათ სხვებთან კი დევ ბევრი სადაო რამე აქვთ.

როცა ჩეხოსლოვაკიის ფარგლებში კარპატის უკრაინის ერთეული დაარსდა, მთელ ევროპის და ამერიკის პრესაში რამოდენიმე კვირის განმავლობაში ფართე პროპაგანდა სწარმოებდა «დიდი უკრაინის» სასარგებლოდ. და ამ «დიდი უკრაინის» იდეის წამომწყებათ და მისი პრაქტიკულად განმახორციელებლად გერმანიას სახავდენ. «დიდი უკრაინის» იდეას დიდის აღფრთოვანებით შეხვდა უკრაინელების ემიგრაცია ამერიკაში, თუ ევროპაში. ამას აქტიურად მხარი დაუჭირა აგრეთვე ევროპის ზოგი ქვეყნების უკრაინელ მოსახლეობის უმცირესობამაც. ამ უკანასკნელ გარემოებამ კი გამოიწვია დიდი გაღიზიანება და უკრაინის საკითხისადმი არადადებითი დამოკიდებულება იმ ქვეყნებში, რომელნიც წინეთ უკრაინის ერის მთავარ ნაწილის—საბჭოთა უკრაინის—განთავისუფლებას მხარს უჭერდენ. შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესების ერთმანეთთან დაჯახება იყოს იმის მიზეზი, რომ უკრაინის საკითხის აქტუალობა ამ დროებით შენელდა.

მეტად საინტერესოა ერთი ფაქტი. როცა ევროპის პრესაში მთელი თვის განმავლობაში «დიდი უკრაინაზე» აუარებელი რამეები იწერებოდა, საბჭოთა გაზეთებს დღემდე ერთი სიტყვა არ უთქვამთ თავიანთ მკითხველებისათვის, თუ რას ფიქრობენ ევროპიელები, ან როგორი არის საბჭოთა პრესის აზრი ამ საკითხის შესახებ. საბჭოთა კავშირის მკითხველებს ყველაფერი დაუმალეს. ამის მთავარი მიზეზი ალბათ ორია: 1. ბოლშევიკებს არ უნდოდათ საბჭოთა უკრაინის მცხოვრებთ აქაური ამბები გაეგოთ და ამას იქ თანაგრძნობა გამოეწვია; 2. თუ უკრაინის შესახებ ევროპაში თქმულ და დაწერილ ამბებს ბოლშევიკური გაზეთები თავიანთ მკითხველთ კი აცნობებდენ, ამ ამბებისათვის კომუნისტებს ჩვეულებრივი ბუტაფორული საპროტესტო მანიფესტაცია-დემონსტრაციებით უნდა ეპასუხნათ, ეს კი მათ დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილად ვერ ცნეს და გაჩუმება არჩიეს. გაჩუმება არჩიეს მიტომ, რომ ბოლშევიკებს არ უნდათ ამ დროებით გერმანიასთან საქმის გამწვავება და მასთან კონფლიქტისათვის რაიმე საბაბის მიცემა. წინააღმდეგ, ისინი ცდილობენ გერმანიას მოურიგდენ, მასთან საერთო ენა გამონახონ, შეუქმნან მას შთაბეჭდილება მისი აღმოსავლეთის ფრონტის უზრუნველყოფისა და ამით მისი ყურადღება უფრო დასავლეთის მიმართულებით მიიქციონ.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს აქ, რომ სტალინი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ყოველ ივე საშუალებას მიმართავს და მის სასტიკ მოწინააღმდეგეებსაც მოურიგდება. მით უმეტეს, რომ ეს მორიგება მისთვის არის დროს მოგება და ამ მოგებულ დროს განმავლობაში კი შეიძლება სხვებს სხვა ადგილას მოუხდეს საქმეების გართულება და ერთმანეთთან დატაკება. ამ დატაკებაში ყველანი საერთოდ სისხლიდან დაიცლება, მოიღლება და დასუსტდება, ამის შედეგათ საბჭოთა რუსეთს ყოველგვარი ავანტიურისათვის ხელები თავისუფალი ექნება. ამიტომაც მოსკოვი საომარ კონფლიქტს დასავლეთ ევროპაში გულის ფანცქალით მოელის.

მეორეს მხრივ ამ უკანასკნელ ხანებში არც გერმანია იყო დაინტერესებული საბჭოთა რუსეთთან გართულებები ჰქონოდა.

ჩეხო-სლოვაკიის ამბების დროს—მიუნხენის კონფერენციაზე—გერმანიის მხარეზე იყო იტალია და დიპლომატიურ სფეროში მის გამარჯვებას ხელს უწყობდა. მაგრამ იტალია გერმანიას ტყუილა არ ეხმარებოდა, სამაგიერო მასაც უნდა მიეღო გერმანიისაგან. ცხადია, გერმანიაც შეპირდა იტალიას, რომ ხმელთაშუა ზღვაზე, თუ ჩრდილო აფრიკაში საფრანგეთ-ინგლისის წინააღმდეგ მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს ის მხარს დაუჭერდა. ინგლის-საფრანგეთის მიმართ გერმანიას თავისი საკუთარი მოთხოვნილებებიც აქვს. და სანამ დასავლეთით, სადაც გერმანიას საქმე აქვს უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოებთან, მეტად რთული და სადაო საკითხები მოგვარდებოდეს, ის დიდად დაინტერესებულია საბჭოთა რუსეთთან კარგ განწყობილებაში იყოს და მისგან მას ხიფათი არ მოელოდეს. ამ თვალთაზრისით ადვილად გასაგებია, თუ რატომ გერმანიამ გადასწყვიტა ამას წინად გაეგზავნა რუსეთში სავაჭრო დელეგაცია შნორეს მეთაურობით. ამ დელეგაციას რუსეთთან სავაჭრო საქმეები უნდა გაეჩაღებია, მისი სამხედრო საჭიროებებისათვის იქიდან, რაც შეიძლება, მეტი ნედლი მასალა გამოეტანა და თანაც დასავლეთით მოსალოდნელ კონფლიქტის დროს გერმანიისადმი საბჭოთა რუსეთის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი მოეპოვებია. ამით აიხსნება ისიც, რომ 30 იანვარს რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში ჰიტლერი, წინააღმდეგ ჩვეულებისა, კრემლის ხელმძღვანელებს თავს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხმია და უკრაინა კი სრულიადაც არ უხსენებია.

ყველა ამ ამბების გამო საქმეებში ახლო ჩახედულთ და არსებულ მდგომარეობის კარგად მცოდნეთ დიდად ეშინოდათ საომარი გართულებების დასავლეთ ევროპაში.

მაგრამ დღეს მსოფლიოში მოვლენები მოვლენებს დიდის სიჩქარით მისდევს და ხშირად მოულოდნელი ამბების წინაშე ვდგებით. ასეთი მოულოდნელი ამბავი იყო ამას წინეთ ცნობა ამერიკიდან, ვითომც პრეზიდენტ რუზველტს სენატის კომისიაში საიდუმლოდ გაეცხადებიოს, რომ «ომის დროს ჩრდილო ამერიკის საზღვრები საფრანგეთში იქნება»-ო.

ამ ცნობამ მთელი ევროპის პრესა აალაპარაკა. თვით ამერიკაში რუზველტის მომხრენი, თუ მოწინაალმდეგენი ამ ცნობას დიდის თანაგრძნობით შეხვდენ და მასზე ბევრს სწერდენ და ლაპარაკობდენ. მხოლოდ სამი დღის შემდეგ რუზველტმა განაცხადა, რომ მისი აზრი სწორად არ იყო გადმოცემული. მაგრამ ის განმარტებაც, რომელიც მან მისცა თავის სიტყვებს, ნათლად და გარკვევით მოწმობს იმას, რომ დასავლეთ ევროპაში გართულებების დროს ჩრდილო ამერიკა საერთო კონფლიქტის გარეშე ვერ დარჩება და იძულებული იქნება მასში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

საყურადღებოა, რომ რუზველტის ამ განცხადების შემდეგ გერმანელების სავაჭრო დელეგაცია, რომელიც მოსკოვისაკენ მიემგზავრებოდა, ვარშავაში იქნა შეჩერებული და უკან დაბრუნებული. თუ რით არის გამოწვეული ბერლინის ასეთი ნაბიჯი, ეს ჯერ გაურკვეველია.

ყველა ზემოთ აღნუსხულ ამბებს ემატება 6 თებერვალს თემთა პალატაში ინგლისის პრემიერის მიერ, პირველად ასეთი ენერგიით და ყოველივე პირობის გარეშე, გაკეთებული განცხადება: «მე საჭიროთ მიმაჩნია ნათლად ვსთქვა, რომ საფრანგეთს და ინგლისს ისეთი საერთო ინტერესები აქვთ, რომ საფრანგეთის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ყოველივე საშიშროება, საიდანაც ის არ უნდა მოდიოდეს, გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის დაუყონებლივ ჩარევას»-ო.

თუ დღემდე დიდად შიშობდენ, რომ დასავლეთ ევროპას ამ ახლო მომავალში თავს დაატყდებოდა დიდი ამბები და აქ დაიწყებოდა საომარი კონფლიქტები, ეხლა პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა და სხვა ქვეყნებთა შორის დამოკიდებულება ისეთია, რომ, თითქმის, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ საომარი კონფლიქტები დასავლეთით ამ დროებით და არც ამ ახლო მომავალში აღარ არის მოსალოდნელი.

მაგრამ სახელმწიფოთა შორის უთანხმოებანი და ერთი მეორესადმი სხვადასხვა პრეტენზიები მაინც რჩება და ყველაფერი ეს მოსაგვარებელი და გადასაწყვეტია.

სადაო საკითხების გადასაწყვეტათ და საყოველთაო მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ ამერიკის პრეზიდენტის მიერ წამოყენებული იყო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის იდეა. ამ კონფერენციაზე უნდა გადაისინჯოს ზოგი ხელშეკრულებები, მოგვარებულ იქნას სადაო ტერიტორიალური, კოლონიების და ნედლი მასალის განაწილების საკითხები და სხვა. ასეთ კონფერენციას მხარს უჭერენ ამერიკაში, ინგლისში და ეხლა ამის დიდი მომხრენი არიან საფრანგეთშიდაც.

ცხადია, ასეთ კონფერენციას დიდის რამის გაკეთება არ შეეძლება, თუ ის შესაფერისად არ მომზადდა და მის უკან არ იქნა მტკიცე გადაწყვეტილებებით აღსავსე საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი. და თუ ამ კონფერენციას მართლა მიეცემა საერთაშორისო ხასიათი, ჩვენ ქართველებს გვმართებს მას დიდის ყურადღებით მოვეპყრათ და შევეცადოთ, რომ იქ საქართველოს საკითხიც იქნას წამოყენებული.

პ. გ.

ეკონომიური წერილები

ახალი დაპირებანი.

საბჭოთა კავშირი მესამე «ხუთწლიან გეგმის» მზადებაშია.

საბოლაოდ გამოაშკარავდა, რომ «მიღწევები» ეკონომიურ სფეროში არც ისე დიდი ყოფილა, როგორც ამდენხანს ირწმუნებოდენ და ზოგს სჯეროდა კიდეც. ამის მაგალითები, თვით საბჭოთა ცნობების ანალიზზე დამყარებული, ჩვენ ამას წინათ «ბრძოლის ხმა»-ში (№ 7-86) მოვიყვანეთ *). ეს საინტერესოთ მიგვაჩნდა იმიტომ, რომ გვინდოდა ჩვენი მკითხველისთვის ერთხელ კიდევ გვეჩვენებია, რომ თვით საბჭოთა მიერ გამოქვეყნებულ ცნობების ანალიზი

---

*) ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა აღვნიშნოთ, რომ იმ წერილში თუჯის და ფოლადის ანგარიში მოყვანილია ათეულ კილოგრამობით და არა კილოგრამობით; ეს იქ აღნიშნულ პროპორციას არ სცვლის, ხოლო ამის განმარტება საჭიროთ მიგვაჩნია ცნობების სიზუსტისათვის.

ააშკარავებს ხშირად საბჭოთა კავშირის ნამდვილ ვითარებას, და ამიტომ ციფრების საერთო ჯამებს, გაზეთების მოწინავე წერილებს და მოხსენებებს უანალიზოთ ნაკლები ღირებულება აქვთ. სამწუხაროთ, ფართე საზოგადოებას ასეთი ანალიზისთვის არ სცალია და ამიტომ ადვილათ ვარდება შეცდომაში.

საჭიროა ერთი რამე მაინც დავიმახსოვროთ: გარემოების მიხედვით თვითონ საბჭოები ააშკარავებენ,—მართალია უკანა რიცხვით,—სინამდვილეს და უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ იმათ, ვინც წინათ მათ დაუჯერა.

ასე ხდება ახლაც. დიდი ქებისა და ზეიმობის შემდეგ, რომ საბჭოთა კავშირში წარმოება უძლიერესად განვითარდაო, ხოლო შრომის ნაყოფიერება და მუშის თავდადება «ხუთწლიან» გეგმების განხორციელებისთვის უმაღლეს წერტილამდის იყო ასულიო, ახლა თვით კომუნისტურ ხელისუფლების მიერ არის დაწუნებული და არსებითად უარყოფილი.

ასე, შრომის ნაყოფიერება რომ არ ყოფილა დამაკმაყოფილებელი, ეს იქედან გამოჩნდა, რომ მუშებში სამუშაო დისციპლინის დასამყარებლად და მუშის ქარხანაში გასაჩერებლად, საბჭოთა კავშირში საშუალო საუკუნის წესები აღადგინეს (ამის შესახებაც ჩვენ აქ ვსწერდით), ხოლო ამ წესების გასამართლებლად საბჭოთა გაზეთები მუშების უდისციპლინობის და ცუღლუტობის მაგალითებით იყო სავსე.

რუსეთში «სოციალიზმი» დამკვიდრდაო სწერენ, ხოლო მესამე «ხუთწლიან გეგმას» ცხოვრებაში გატარების წინ მაინც აღიარებენ,—შეიძლება ხალხის წასახალისებლად,—რომ სახალხო მეურნეობაში დიდათ არ ჩამოვრჩებით ევროპის და ამერიკის ქვეყნებსო. როგორც მოგეხსენებათ, წინათ ცოტა სხვანაირი ამბავი გვესმოდა იმათგან. საბჭოთა გაზეთებში მოყვანილია ახლა სახ. კომისართა თავმჯდომარის მოლოტოვის მოხსენების თეზისები, სადაც ეს მეტად კომპეტენტური პიროვნება საბჭოთა საქმეების იმასვე გვეუბნება, რაც ჩვენ ამ ორი თვის წინათ ვსთქვით საბჭოთა კავშირის მეურნეობის დასახასიათებლად. იგი ამბობს, რომ მეორე «ხუთწლედის დასრულებისას (1937 წ.) ადამიანის სულზე მოდიოდა საბჭოთა კავშირში: ელექტრონის ენერგია ორჯელ ნაკლები, ვინემ საფრანგეთში, თითქმის სამჯელ ნაკლები, ვინემ ინგლისში, სამნახევარჯელ ნაკლები, ვინემ გერმანიაში და ხუთნახევარჯელ ნაკლები, ვინემ შეერთებულ შტატებშიო. ეს ნაქებ და ნადიდებ ელექტროფიკაციის შესახებ! რაც შეეხება თუჯს, იგი უწევს უფრო ვინემ ორჯელ ნაკლები, ვინემ ინგლისში და საფრანგეთში, ორნახევარჯელ, ვინემ გერმანიაში და სამჯელ ნაკლები, ვინემ შეერ. შტატებში; ფოლადი—თითქმის ორჯელ ნაკლები, ვინემ საფრანგეთში, თითქმის სამჯელ ნაკლები, ვინემ ინგლისში და გერმანიაში და თითქმის ოთხჯელ ნაკლები, ვინემ შეერთებულ შტატებში; ქვანახშირი—ცოტა უფრო ნაკლები კაცის თავზე, ვინემ საფრანგეთში და დიდათ ნაკლები, ვინემ შეერთებულ შტატებში, ინგლისში და გერმანიაშიო. საბჭოთა კავშირი თავის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით კიდევ ჩამორჩება სხვა ქვეყნების ისეთ წარმოებას, როგორიცაა ქსოვილი, ქაღალდი, საპონი და სხვა რამეებიცო. ასე გადმოგვცემს ახლა ბ. მოლოტოვი საქმის ვითარებას საბჭოთა კავშირში («პრავდა» ამა 30 იანვრის თარიღით); ხოლო წინათ, როცა მეორე «ხუთწლიან გეგმის» განხორციელებაში იყვენ, საბჭოთა პრესა იმას უმტკიცებდა ქვეყანას, რომ არამცთუ ევროპის ქვეყნებს, ამერიკასაც კი «დავეწიეთ და გავუსწროთო».

მესამე «ხუთწლიან გეგმის» პერსპექტივების გასადიდებლად, მეორე «ხუთწლიან გეგმის» განხორციელების შედეგებს ამქღავნებენ. სიმართლის თქმა ყოველთვის, დაგვიანებითაც კი, მოსაწონია; ხოლო სათქმელი ის კი არის, თუ რატომ კონტრ-რევოლიუციონერათ ინათლებიან ყველა ისინი, ვინც ამ სიმართლეს თავის დროზე ამჩნევენ და ამაზე ლაპარაკობენ?

ამდენი გასაჭირის ამტანი საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ამ გასაჭირსაც გაუძლებს, თუ კი მესამე ხუთწლიან გეგმის დასრულებისას—1942 წელს (მეორე «ხუთწლედი» დასრულდა 1937 წ.) ქვეყნად ბედნიერება დამყარდება.

რას პირდება ამ დროისთვის ხალხს საბჭოთა ხელისუფლება ბ. მოლოტოვის მოხსენების ტეზისების თანახმად?

თუ მეორე «ხუთწლიან გეგმით» დახარჯული იყო კაპიტალურ სამუშაობებზე 115 მილიარდი მანეთი, მესამეში—180 მილიარდი უნდა დაიხარჯოსო. აქედან მრეწველობაზე დაიხარჯება 103,3 მრდი მან., ტრანზიტზე—35,8 მრდი მან. და სოფლის მეურნეობაზე—10,6 მრდი მან.

თანახმად და შესაბამისად ამ ხარჯისა—ა) მარცვლეულის მოსავალი 5,5 მრდ. ფუთიდან 7 მილიარდ ფუთამდის უნდა აიწიოს; ბ) პირუტყვი უნდა გამრავლდეს—ცხენი 35 პროც., ღორი—100 პროც., თხა და ცხვარი—110 პროც.; გ) «სოვხოზებში» სოფლის მეურნეობის საქმე ყველასათვის სამაგალითოდ უნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაიქცეს მოსავლიანობის მხრივ; დ) 11 ათასი კილომეტრი ახალი რკინის გზა იქნება გაყვანილი; ე) შრომის ნაყოფიერება რკინის გზის ტრანსპორტზე უნდა გაიზარდოს 32 პროც., ხოლო წყლის ტრანსპორტზე—38 პროც.; ვ) მრეწველობის ყოველი დარგი უნდა განვითარდეს და სხვა მრავალი დიადი საქმე უნდა გაკეთდესო...

განსაკუთრებულ ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ ამ აღმშენებლობის შუა გულში არის რუსეთი—რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მისი აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხარეები; სხვა ნაციონალურ რესპუბლიკების შესახებ, გარდა მცირე გამონაკლისისა, საზოგადოთ არის ნათქვამი, რომ გაგრძელდება კვლავინდებურათ სამეურნეო და კულტურული მუშაობაო; კერძოთ, საქართველოში კოლხიდის ჭაობების საბოლაოდ ამოშრობას გვპირდებიან ამ მესამე «ხუთწლედში»...

ამ «ხუთწლიან გეგმის» დამტკიცების ზეიმი კომ. პარტიის მე-18 კონგრესისთვის არის დანიშნული, იგი კი მომავალ მარტში შესდგება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ კონგრესის შემდეგ ჩვენ მივიღებთ ყოველდღიურათ სულ ახალ და ახალ ცნობებს, დიდ ციფრებს, ცხრილებს და დიაგრამებს წარმოების ზრდისას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ყოველგან; ყველას დაარწმუნებენ შრომის ნაყოფიერების ზრდაში, ბედნიერ ცხოვრების დამყარებაში. ეს გაგრძელდება მანამდის, სანამ მეოთხე «ხუთწლიან გეგმის» შემუშავებას დაიწყებდენ. და აი მხოლოდ მაშინ გვეცოდინება დანამდვილებით, რომ ვერც მესამე «ხუთწლედმა» გაამართლა თავის დანიშნულება და საბჭოთა კავშირი ევროპას ვერ გაუთანასწორა.

ყოველ შემთხვევაში, ამას გვეუბნება წარსულის მაგალითები და ამას ახლა საზოგადოებაც შეჩვეულია. ახალი დაპირებებიც ისე გათავდება, როგორც ძველი: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!

ვ. ვ.

უ კ რ ა ი ნ ა

გასული წლის უკანასკნელი თვეების მანძილზე დიდი ძვრები მოხდა საერთაშორისო ურთიერთობაში. ამ მოვლენის ერთი თვალსაჩინო შედეგი ის არის, რომ დღის წესრიგში ისმება აღმოსავლეთ ევროპის, უკედ რომ ვთქვათ, საბჭოთა იმპერიის საკითხი. როგორც ვიცით, საბჭოთა იმპერია გადაქცეულია მრავალ დაჩაგრულ ერთა ციხედ და ამ იმპერიის საკითხის დასმა ნიშნავს მის ფარგლებში გამომწყვდეულ ერთა განთავისუფლების საკითხის დასმას. ეს ასეც მოხდა და პირველ რიგში აქტუალური გახდა უკრაინის საკითხი. უკრაინაზე ალაპარაკდა მთელი მსოფლიოს პრესა, უკრაინაზე ლაპარაკობენ პარლამენტებში, დიპლომატიურ წრეებში, პოლიტიკურ სალონებში, შინ და გარედ. როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებრივი აზრი დაჩაგრულის მხარეზე დადგა და მხურვალე სიმპატიას იჩენს უკრაინის განმანთავისუფლებელ მოძრაობისადმი; მაგრამ აღმოჩდენ ისეთებიც, რომელნიც უკრაინელთა კანონიერ მისწრაფებათა წინააღმდეგ ილაშქრებენ და არაფერს ზოგავენ ამ მოძრაობის ნამდვილ შინაარსის გასაყალბებლად. ამ მხრით აღსანიშნავია განსაკუთრებით რუსული ემიგრანტული პრესა.

წარსულში რუსეთის მოწინავე საზოგადოება,—განსაკუთრებით მისი ლიბერალურ-დემოკრატიული ნაწილი,—ყოველთვის დიდი სიმპატიებით ხვდებოდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ტყვეობაში ჩავარდნილ ამა თუ იმ ერის ასეთივე მოძრაობას. ეს წინააღმდეგობა ახასიათებს დღევანდელ რუსულ ემიგრაციასაც. უკრაინა რუსეთის ფარგლებში მოქცეული დაჩაგრული ერია და, მაშასადამე, მისი განმათავისუფლებელი მოძრაობაც უკანონო და მტრების გამოგონილი საქმეა. ამ მტრებად არიან გამოცხადებულნი არა თუ გერმანია, არამედ უკრაინელი «სამოსტინიკები» ც. მთელი რუსული ემიგრანტული პრესა,—განსაკუთრებით მისი დემოკრატიული ნაწილი,—გადაჭარბებული გულმოდგინეობით ამტკიცებს, რომ გერმანიის განზრახვაა რუსეთს ჩამოაცილოს უკრაინა და თვითონ დაიმონოს იგი; ამ განზრახვის ხელის შემწყობნი,—უკედ რომ ვთქვათ, გერმანიის აგენტები,—არიან უკრაინელი «სამოსტინიკები». ამ იაფ ფასიან ქადაგების და დემაგოგიის მიზანი აშკარაა: ამ გზით ცდილობენ ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლ უკრაინის ხალხს ეჭვები აღუძრან, ხოლო მოძრაობის ხელმძღვანელთ სახელი გაუტეხონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთავად ცხადია, რომ უკრაინის ხალხი და მისი ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობის ხელმძღვანელნი იბრძვიან არა იმისთვის, რომ ერთი მჩაგვრელის ნაცვლად მეორე დაისვან თავზე. დაჩაგრულ ერისთვის ბევრი განსხვავება არ არის იმაში, თუ ვინ შეუპამს მას: მგელი თუ მგლის ფერი ძაღლი; და ცხადია, რომ არც ერთი ერი მგელს არ შეებრძოლება იმისთვის, რომ თავი მგლის ფერ ძაღლს შეაპამოს. უკრაინის ეროვნულ მოძრაობას სრულიად გარკვეული მიზანი აქვს; ეს მიზანია მოსკოვის უღლიდან განთავისუფლება და საკუთარი დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა. ის გარემოება, რომ შესაძლებელია რომელიმე სახელმწიფომ ამ მოძრაობას დიპლომატიური, თუ სხვა რაიმე დახმარება აღმოუჩინოს, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მის მიზანს უთუოდ უკრაინის გადაყლაპა შეადგენდეს.

მართალია, ისტორიამ იცის იმის მაგალითები, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს თავისი ეგოისტური მიზნებით გამოუყენებია რომელიმე დაჩაგრული ერის მოძრაობა, შემდეგ ან თვითონ წაჯდომია მას თავზე, ან კრიტიკულ მომენტში მიეტოვებია იგი და მით უწინდელზე უარეს მდგომარეობაში ჩაუგდია; მაგრამ ისტორიამ იცის სხვანაირი მაგალითებიც. იმისათვის, რომ რომელიმე სახელმწიფომ დაჩაგრულ ერის განმანთავისუფლებელ მოძრაობას თანაგრძნობით მოეპყრას და მას დახმარება აღმოუჩინოს, სრულიადაც არ არის სავალდებულო, რომ მას მიზნად უთუოდ მისი გადაყლაპვა ჰქონდეს. ამისათვის სავსებით საკმარისია, რომ დაჩაგრულ ერისა და დახმარების აღმომჩენ სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს შეხვდეს. გერმანია-უკრაინის მაგალითზე ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: უკრაინის ინტერესს შეადგენს რუსეთს ჩამოცილდეს და თავი დაალწიოს ეროვნულ ჩაგვრას; გერმანიის ინტერესია მის მახლობლად არ იყოს უზარმაზარი და ძლიერი რუსეთი, რომელიც მისთვის იქნება მუდმივი საშიშროება. ეს საშიშროება გერმანიის თავიდან ექნება აცილებული, თუ დღევანდელი საბჭოთა იმპერია დანაწილდება მის შემადგენელ ეროვნულ ნაწილებად. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ერთმანეთს ხვდებიან გერმანიისა და უკრაინის ინტერესები.

მაგრამ შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, რომ გერმანიისათვის უკრაინის დაპყრობა და ძალით შეერთება ადვილი საქმე იყოს? მარტო საბჭოთა უკრაინა თავის სიერცით ცოტა მეტ-ნაკლებობით გერმანიის ოდენაა. მისი მოსახლეობა 35 მილიონს ჭარბობს. იგი სავსებით მომწიფეებულია სახელმწიფოებრივად, კარგად აქვს შეცნობილი თავისი ეროვნული მეობა და მის გარდაუვალ მისწრაფებას შეადგენს დამოუკიდებელ ეროვნულ ოჯახის მოწყობა. ასეთი ხალხი დაპყრობას არასოდეს არ შეურიგდება ხელახლა გაჩაღდება ეროვნული ბრძოლა, მიმართული ამ შემთხვევაში გერმანიის წინააღმდეგ; ყოველი მოხერხებული შემთხვევა გამოყენებული იქნება გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით უფრო მეტი დაუჯდება გერმანიას, ვინემ ის მიიღებს დაპყრობილ უკრაინისაგან.

დღეს უკრაინის მთავარი მტერია მისი დღევანდელი ბატონი, რომლის ბარბაროსობა უმგალითოა, და ყველა მისი ძალებიც ამ მტრის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. უკრაინის განმათავისუფლებელ ბრძოლის მოკავშირენი და მეგობრებია საბჭოთა იმპერიის ყველა დაჩაგრული ერები. უკრაინის გამარჯვება და სიხარული ყველა ამ ერების გამარჯვება და ზეიმია; მისი წაფორხილება და დამარცხება ყველასი დაბრკოლება და უბედურება იქნება. დღევანდელი საერთაშორისო ვითარება საიმედო პერსპექტივებს უშლის ყველა დაჩაგრულ ერებს, მაგრამ არ შეგვიძლია იმისი თქმა, რომ ამ იმედებს ზოგი შიშიც თან არ ახლეს. მტერი ვერაგი და დაუნდობელია; მასთან უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა იქნება მეტად მწვავე და მტკივნეული. საღი გონება და მიზანშეწონილობა გვიკარნახებს, რომ ეგ მწვავე ბრძოლა არ იქნეს გართულებული და დამძიმებული ისეთი მეორეხარისხოვანი საკითხებით, რომელნიც ჩვენი საერთო საქმის გამარჯვების შანსებს მეტად დაასუსტებენ.

ჩვენი,—ე. ი. ყველა დაჩაგრულ ერების,—ინტერესები და კეთილი უკრაინისადმი გულწრფელი მეგობრობა გვიკარნახებს დაუფარავად ვთქვათ, რომ ერთ ასეთ მეორეხარისხოვან კითხვათ მიგვანია საბჭოთა უკრაინის საკითხთან დაკავშირება საკითხის იმ უკრაინელთა უმცირესობების, რომელნიც მეზობელ ქვეყნებში იმყოფებიან. მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობის საქმეა საბჭოთა უკრაინის განთავისუფლება, იმ უკრაინის, რომლის ოცდათუთხმეტ მილიონიანი მოსახლეობა უსაშინელეს მონობის მდგომარეობაშია ჩავარდნილი და რომელიც ფიზიკურად ნადგურდება და ეკონომიურად უკიდურესობამდე იძარცვება. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ დედა-უკრაინამ სრულიად დაივიწყოს მის საზღვრებს გარეშე დარჩენილი მოძმეები. მაგრამ ასეთი საკითხები წყდება და წესრიგდება ურთიერთ შორის მეზობლური და მეგობრული მოლაპარაკებით. ამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანავე ჩვენმა უკრაინელმა მეგობრებმა არც ის უნდა დაივიწყონ, რომ პოლონეთთან მეგობრობა და კავშირი ერთი მნიშვნელოვანი პირობათაგანი იქნება უკრაინის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მისი ურყევად ფეხზე დგომის. დღევანდელი რუსეთიდან თავის დაღწევა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი საფრთხე სამუდამოდ იქნება თავიდან აცილებული. რომ რუსეთის ექსპანსიას უკრაინის მიმართულებით გზა გადაეჭრას და საზღვარი დაედოს, ამისათვის საჭიროა, რომ უკრაინა იყოს ძლიერი, როგორც თავისი უტეხი ნებისყოფით, ისე მეზობელ მოკავშირეებით.

ჩვენ მტკიცედ გვწამს უკრაინელ პატრიოტების საღი გონება, მათი შორს-მჭვრეტელობა და ეს გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ისინი სათანადო ანგარიშსაც გაუწევენ საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობის საერთო ინტერესებს.

ბ. არიძე.

მორიგი ისტერიკა

რუსულ მემარცხენე პრესაში გამეფდა მორიგი ისტერიკა. კერენსკის ჟურნალ «ნოვაია როსიას» მე-60 ნომერში დაბეჭდილი მოწინავე—«საჭიროა ამორჩევა»—და მისი მომყოლი წერილები ამ ისტერიკის, სულიერ აფორიაქების, საუცხოვო ილიუსტრაციაა. ამ წრეებს, ეტყობა, ძილს უფრთხობს რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა; მათ აშინებს საბჭოთა იმპერიის მომავალი ბედი და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რათა ამ ბრძოლას უცხოეთში სახელი გაუტეხონ, ლაფში ამოსვარონ და მით, დასაძირად განწირული რუსული გემი, სამშვიდობოს გაიყვანონ. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენ მიერ არა ერთხელ გამოთქმულ დებულებას: რუსის სოციალისტები, თუ მოსოციალისტო პირები, რომლებიც არიან მოკალათებული ემიგრაციაში, სავსებით დაშორებული არიან საბჭოთა იმპერიის სინამდვილეს, არ იცნობენ იქ წარმოებულ გიგანტიურ ეროვნულ ბრძოლას და ამიტომ აქ, ემიგრაციაში, თავს ირთობენ სხვადასხვა სახელდახელოდ შეთხზული ჭორებით.

«ნოვაია როსია» თავის მოწინავეში ამაყად გვეკითხება: «ნუ თუ არა გრძნობთ, რომ დადგა დრო, როდესაც საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გააკეთოთ არჩევანი და აირჩიოთ ისე, რომ რაიმე ეჭვებს ადგილი არ ექნეს»-ო. ეს მართლაც და ისტერიკაზედ მეტია. ეტყობა ამ ხალხს მართლაც დაუკარგავთ სინამდვილის გაგების უნარი, თუ დღევანდლამდის ვერ გაიგეს ის უბრალო ამბავი, რომ ქართველმა ერმა და ყველა მისმა პარტიებმა დიდი ხანია გააკეთეს თავისი «არჩევანი». გააკეთეს 1918 წელში და მას აქეთ დგანან ამ ხაზზე მტკიცედ და შეურყევლად. საქართველოს სურს იყოს დამოუკიდებელი, სუვერენი სახელმწიფო და თვით განაგებდეს თავის აწმყოს და მომავალს. ეს გვეგონა ძალიანი ადვილი გასაგები ამბავია, მაგრამ, სჩანს, ამ დაბნეულ რუსის ინტელიგენციას დღევანდლამდის ეს ვერ შეუთვისებია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არ სურს შეითვისოს. რომ არ სურთ იქიდანაც ჩანს, რომ ყველა ისინი დაწყებული დენიკინიდან, ხელში გვაჩეჩებენ ფედერაციას, ე. ი. რუსეთის ბატონობას არარუს ერებზე. ეს არის დიდათ უკან დაქანება, იმ მდგომარეობიდანაც კი, რაც დღეს საბჭოთა იმპერიაშია. აქ, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად მაინც, სუფევს ერთა კავშირი, საკავშირო რესპუბლიკების სახით. ხოლო პარიზის რუსის ინტელიგენციას ესეც თავისთვის მიუღებლად მიაჩნია და დენიკინელთა ურმიდან ვერ ჩამოსულან. ვინაიდან ამ მთავარ საკითხში ჩვენ და მათ შორის გაუვალი ხრამია—ყველა დანარჩენი საკითხები ამასთან შედარებით წვრილმანებია და მათ მიერ ყურით მოთრეული.

ასეთია, მაგალითად, «ნოვ. როსიას» მოწინავეში მოხსენებული მემორანდუმის ამბავი. იგი სწერს: «ჟორდანიას მთავრობას, რომელიც სოციალისტებისაგან შესდგება, მემორანდუმით მიუმართავს ტოტალიტარულ სახელმწიფოებისათვის». და ამას თვლის დიდ ერესათ, სოციალიზმის ღალატათ და თან საქართველოს სოციალდემოკრატიას ინტერნალში მდგომარეობის გართულებითაც ემუქრება. მართალია, ამ ფაქტის უარის ყოფა უკვე იყო დაბეჭდილი ფრანგულ «პრომეთეს» გასული წლის მარტი-აპრილის ნომერში; მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ დასჭირდათ ამ ამბის წამოყენება მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმპერიალისტური ზრახვების დასაფარავად. ჯერ ერთი—ასეთი მემორანდუმიც რომ არსებობდეს რა არის ამაში უარყოფითი და დასაგმობი? თავის თავად ცხადია, საქართველოს ნაციონალურ მთავრობას, რომელიც წარმოგზავნილია უცხოეთში დამფუძნებელი კრების დადგენილებით და მანდატით—უფლებაც აქვს და მოვალეობაც იზრუნოს დაპყრობილი ერის განსათავისუფლებლად და ამ მიზნით შესაფერი ნაბიჯების გადასადგმელად, იქნება ეს დემოკრატიული თუ სხვა სახელმწიფოების წინაშე. «ნოვაია როსია»-ს მწერლებმა უნდა

იცოდენ, რომ ყველა მთავრობა, მიუხედავად მათი სტრუქტურისა, ერთმანეთს ელაპარაკებიან და განსაზღვრულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. იდეოლოგიური საერთაშორისო ურთიერთობა ბოლშევიკებმაც კაი ხანია უარყვეს. და თუ დღეს რუსის ესერები მას ჩაფრენიან, მხოლოდ და მხოლოდ იმავე ძირითადი განსხვავების დასაფარავად: მათ არ სურთ საქართველოს სუვერენობა, დამონებულ ერთა თავისუფლება და იმის მაგიერ, რომ ეს პირდაპირ სთქვან ერთხელ და სამუდამოდ,—თავს ირთობენ მიკიბულ-მოკიბული მოსაზრებებით და გამოლმა გამოდავებით.

თურმე ნუ იტყვით, ჩაგრული ერების და მისი ემიგრაციის ბრძოლა თავისუფლებისათვის და საბჭოთა სატუსაღოდან გამოსვლისათვის ყოფილა სოციალიზმის «ღალატი» და «გამცემლობა» ხოლო რუსეთის მიერ ამ ერების აწიოკება, განადგურება და დამონება—მართალი საქმე, ამის დაცვა კი—სოციალისტობა და ინტერნაციონალიზმი! ასეთი გოტენტოტური მორალით შორს წასვლა შეუძლებელია. ამ მორალით რუსეთი ერთხელ დაინგრა და, არ ვფიქრობთ, იმან მომავალშიაც მას ხეირი დააყაროს.

თუ «ნოვ. როსიას» დაუჯერებთ, რუსეთის ჩაგრულ ერთა ემიგრაცია ყოფილა «უმნიშვნელო ემიგრანტული ჯგუფები, მოწყვეტილნი იმ ხალხებისაგან, რომელთა სახელით ისინი კრავენ ხელშეკრულებებს, ადგენენ მემორანდუმებს და, საერთოდ, ეწევიან აქტივობას». გამოდის, ჩვენ თურმე არ წარმოვადგენთ ჩვენ ხალხს, ხოლო ისინი კი ვითომ არიან რუსის ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი? აი ამ უბრალო ფაქტებშიაც ეს ხალხი ოცი წლის ემიგრანტობის შემდეგაც ვერ გარკვეულა. ყველამ იცის რომ ევროპაში არსებული რუსის ემიგრაცია სამშობლოდან გამოაგდო სწორედ რუსის ხალხმა, ე. ი. მათ წაართვა ყოველივე ნდობა და თავისი სვებედი ჩააბარა საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ კი, ქართველები, გამოგვრეკა არა ჩვენმა ხალხმა, არამედ მოსკოვიდან შემოჭრილ საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც სისხლის მღვრელ ბრძოლების შემდეგ ჩვენი ქვეყანა დაიპყრეს. ეს ფაქტი თავის თავად ლაპარაკობს. ცხადია, სწორედ მათ არავითარი უფლება არ აქვთ, არც იურიდიული, არც ისტორიული წარმოადგენდენ რუსის ერს, ხოლო ჩვენ, ნაციონალურ ემიგრაციას, გვაქვს ყველა ეს უფლება წარმოვადგენდეთ ჩვენს ერს და მისი სახელით ვილაპარაკოთ. ეს რომ ასე არ იყოს, რუსებს რომ ეს არ აფიქრებდეს, მაშინ სწორედ გაუგებარი იქნებოდა მათ მიერ ატეხილი განგაში: «გვიშველეთ, გვანაწილებენო». განა ღირდა ამდენი თავის ტეხა და დამარცხებულ გენერლების მობილიზაცია, რაღაც «ორიოდე, სამშობლოს მოწყვეტილ ემიგრმციის» გასაწბილებლად? განა ღირს მათ მოქმედებას მიექცეს რაიმე ყურადღება? რასაკვირველია არა, რომ მათ მეორე სატკივარი არ ასტეხოდათ.

ეს სატკივარი, ესერების ორგანოს აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ «ამ ჯგუფების (ნაც. ემიგრაცია. ს. მ.) უკან დგანან ისეთი ძალები, რომლებთანაც ბრძოლა მარტო მხრების აწევით შეუძლებელია». გამოდის, ეგ რუსი «პატრიოტები», თუ კიდევ «ანგარიშს უწევენ» ჩაგრულ ერთა მოძრაობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთ მეგობრები გასჩენიათ უცხოეთში. თუ ეს არა, თავსაც არ შეიწუხებდენ რუსეთში მოქცეულ ერთა სვე-ბედზე! ახლა კი ცხადია, რისთვის წამოაყენეს «ფედერაციის» საკითხი და თავს რატომ იკატუნებენ.

დაბოლოს მათ ისიც ვერ გაუგიათ, რომ «გარეშე ძალები» ანგარიშს უწევენ არა ემიგრაციას, ემიგრანტულ დაჯგუფებებს, არამედ იმ ძალას და მოძრაობას, რომელიც იქ, ქვეყანაში იქმნება და ვითარდება. იმდენად, რამდენადაც საბჭოთა იმპერიაში ჩაგრულ ერთა ბრძოლა დამპყრობელების წინააღმდეგ გორდება და იზრდება. იმდენად ზევით იწევს ნაციონალურ ემიგრაციის წონა და მნიშვნელობა; იმდენად ის ხდება საყვირი და მებაირახტრე საკუთარი ერის სურვილების და მისწრაფებების. ცხადია, მსოფლიო ვერ დარჩება უბრალო მაყურებლად რუსეთში წარმოებულ ნაციონალურ მოძრაობისადმი. და სწორედ ესაა, რომ ძილს უფრთხობს ყველა ჯურის «ველიკოდერჟავნიკებს», ისტერიკაში აგდებს მათ და სინამდვილეში გარკვევის უნარს ართმევს. აი, სათავე რუს ინტელიგენციის დაბნეულობის და გაბოროტების. ის გადაიქცა უბრალო ჭორიკანად და ცდილობს «გარეშე ძალების» მომიზეზებით წმინდა ეროვნულ საქმის გაშავებას.

არა, ბატონო რუს იმპერიალისტებო! ჩვენ ვიბრძვით არა მარტო კრემლში გაბატონებულ რეჟიმის შესაცვლელად, არა რუსის ბატონობიდან სხვის მოყმედ შესასვლელად, არამედ საკუთარი ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად, ჩვენი საკუთარი სამშობლოს გამოსახსნელად და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის დასამკვიდრებლად. თუ ეს ნიშნავს რუსეთის ამ ერთა საპყრობილეს, დანგრევას, მის დაშლას—მით უარესი თქვენთვის. სჩანს, ის დასანგრევი ყოფილა და ამ ისტორიულ აუცილებლობას ვერავინ შეცვლის.

ხოლო რუსეთიდან გამოსვლის შემდეგ თუ რა ბედი გვეწვევა, ამაზე ნუ მოსთქვამთ; ეს ჩვენი საქმეა. ნიანგის ცრემლებით და «გარეშე ძალების» მომიზეზებით შეცდომაში ვერავის შეიყვანთ.

ხან. მენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ო გ ი რ ა ბ

«კავკასია» დიდ სიხარულშია. სადღაც 5-6 სომეხი უშოვია და დიდის ამბით გვაუწყებს:—«სომეხ ახალ-გაბრდა ნაციონალისტები სავსებით «კავკასი»-ის პოლიტიკურ პოზიციას ემხრობიან»-ო. კავკასიის შოვინისტურ ორკესტრს ერთი ბალალაიკა აკლდა, ახლა ისიც უშოვიათ, ბაშასადამე, ორკესტრი უკვე სრულია. ვის სასიამოვნოდ დაუკრავს ის? ცხადია ვის. ორკესტრის დირიჟორი ხომ ბამატია! უნდა ველოდეთ რომ ეს 5-6 ახალგაზრდა სომეხი არ დაეყოვნებუნ განაცხადოს, რომ ყარსი არას დროს სომხეთის არ ყოფილა, რომ იგი მუდამ ოსმალეთის იყო და სამუდამოთაც მისი იქნებაო. და თუ ვინმე ამას არ დაიჯერებს—დაიწყებენ მტკიცებას სათანადო საბუთებით, რომელიც დაიბეჭდება იმ სომხურ «კაკ»-ში, რომელიც თურმე მალე გამოვა. და თუ ძველი ისტორია ამის წინააღმდეგი იქნება, არა უშავს, შეთხზავენ ახალს, მადლობა ღმერთს. ადვილად შოვნენან გამოცალილ მასწავლელებს ქართულ «კავკასია»-ში. უნდა ვიფიქროთ რომ დღეიდან ბამატის ყველა ეს «კავკასია» გამოვა ერთი ლოზუნგით:—შოვინისტებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. სიინტერესოა კია როგორ მოთავსებენან «კავკასია»-ში მოკალათებული სომეხ-ბამა ქართველები, ასევეთვე ქართველ-ბამია სომხებთან!

არა ნაკლებ სასაცილოა სურათი—როგორ იფუყება თვით ბამატი და რა მეგიდურებით აუწყებს ხელქვეგით:—«ჩარავის შეუძლია გვისაყვედუროს რომ სათანადო ყურადღებით არ ვეკერეთ სომხეთის პრობლემას»-ო. რაღა უჯრის სომხის ხალხს! ბამატი, თვით ბამატი თურმე აქცევს მათ ყურადღებას! და ისიც სათანადოთ! ხუმრობა ხომ არაა! ამ მეგზნიერებას ი'შვიათი ერი ეღირსება ხოლმე! ბედი მომეკ და ქვაზე დამსვიო—ესაა. მართალია მისი ასეთი მოწყალე ყურადღებისთვის ის ითხოვს ოსმალეთისათვის «აღმოსავლეთ ვილაეთების პრეტენზიებზე უარის თქმას», მარა ეს არაფერია, რასაკვირველია, სომხეთისათვის ბამატის ყურადღება ათასჯერ უფრო ძვირფასი უნდა იყოს, ვინემ რაღაც «აღმოსავლეთის ვილაეთები». ეტყობა კი რომ მანიკადამანიც არაა დარწმენებული რომ სომეხები მართლაც გასცვლიან ამ ვილაეთებს ბის ძვირფას ყურადღებაში და აბატომაკაა, რომ, ჩვენში დარჩეს და, ცოტათი იმუქრება კიდეც: «დადგა დრო სომხეთის პოლიტიკოსებმა დაანებონ თავი ცოსა და ოცნების ბაზაა და სინამდვილეს გაუსწოროს თვალი»-ო... «სახდერები იხაზება რეალურ ძალთა განწყობილებით»-ო და სხ. და რადგან იცის რომ ეს ირეალური ძალთა განწყობილება» დღეს სხვის მხარეზეა—გვაშინებს ამით. დაშინების შემდეგ კი გვასწავლის: «კავკასიელ ერების ინტერესი მოითხოვს მეგობრობას ჩვენს სამხრეთ მეზობელთთან. ამისთვის კი ბომავალი კონფედერაციისათვის ჩვენ ვსაანთ სავალდებულოდ ეხლანდელი ტერიტორიალური «სტატუს ქვო» ოსმალეთსა და ს. ტ. რ. ს-ს შორის»-ო. «ჩვენ ეიცანითო»! რა უნდა ვქნათ! თვით ბამატს უკვნია! სხვას ოროვეცნო—კიდევ ჰო! აქეთ-იქით, მარა ახლა აბა ვინ გადგეს ეურრობას! რა უყოთ რომ ეს «სტატუს ქვო» მიეფეგნელია საქართველოსთვის, მიეფეგნელია სომხეთისათვის,—სამაგიეროთ სასარგებლო ოსმალეთისათვის და ბამატს ხომ მეტი არა უნდა-რა. ალიას დარღი ფლავია და ფლავსაც ხომ სწორედ ამისათვის არიგებენ. და თუ დღემდის ამ ფლავის გობში ზოგი ერთი ქართველი და აზერბაიჯანელი ურევდა კოეზს—ღღეიდან ზოგიერთი სომეხიც ჩაურევეს და ასე ა'შე ნდება ის კონფედერაცია, სადაც თურმე «თვითეულმა ქართველმა ისე უნდა იგრძნოს თავი ბაქაში და ერივანში, როგორც თბილისში და თვითეულ სომეხს ისე უნდა უყვარდეს ვლადიკავკაზი და თბილისი, როგორც ერევანი»-ო. მარა როგორ უნდა უყვარდეს მაგ. მთიელს—ბამატი არას ამბობს. ის მხოლოდ ქართველებს და სომხებს მიუწერს რა უნდა უყვარდეს და სად როგორ უნდა გრძნობდენ თავს! ასეც უნდა იყოს! აბა სად გაგონილია რომ ხახვინი და ხელქვეითნი ერთნაირ პირობებში იყოს ჩაყენებული. ხახვინი ბრძანებს—ხელქვეითნი ასურულებენ...

* * *

ასურულებენ კი უთუოდ კეთილ-სინდისიერად. თუ არ გაგვერათ გადაიკითხეთ ვლ. ემუხვარის წერილი ამავე ნომერში—«პასუხი ბ-ნ მიხეილ წერეთელს». ემუხვარი ტყავიდან ძვრება დაამტკიცოს, რომ ბათუმი და მისი ოლქი საერთაშორისო უფლებითაც და ისტორიულადაც ოსმალეთს ეკუთვნის. ერთხელ ასეთი რამ სცადა ზ. ავალიშვილმა, მარა უფრო მორცხვად და უფრო შორიდან ბოლვინთ—რადაც ძველად გამოქვეყნებულ დიპლომატიურ წერილებზე მითითებით. ემუხვარი არ იქაცევა ასე. ის უფრო ყოჩაღი და გაბედულია, ფართი-ფურთობს, ედება ცას და დედამიწას, უხმობს ძველსა და ახალს ავტორიტეტებს, იმოწმებს მეცნიერებასა და მეცნიერებს და ყველა ამათი სახელით იწევს მ. წერეთელს «რომელიმე მსოფლიო ავტორიტეტის სამართალ"ში და თუ ასეთი ავტორიტეტი მე გამამტყუნებს ე. ი. იტყვის რომ ყარსის ხელშეკრულების უარყოფა კი შეიძლებაა—მე თავს დამარცხებულად გამოვაცხადებდ და იარაღს დავყრიო». «კავკასია»-ო მისი თანამშრომველი. როგორც სჩანს. დროულად სცლიან, რომ ის საქმე, რომელსაც იმათმა ამდენი დრო და ენერგია შეალიეს—გახდეს უკვე ფორმალური გარჩევის საგნად, რომელიც ვლ. ემუხვარის მტკიცებით უთუოდ ოსმალეთის სასარგებლოთ გადაწყდება. «ის ტერიტორია—აცხადებს ის გადაჭრით—, რომელსაც ჩვენი მოწონაადმდგენი (ე. ი. ჩვენ. გ. უ.) თავიანთი უსუსურობით და უმეცრებით ოსმალეთის ედავებინან, ეკუთვნის არა საქართველოს, არამედ ოსმალეთის თანახმად პოზიტიური საგარეო უფლებისა, რომლის წყაროს ყარსის ხელშეკრულება წარმოადგენს»-ო. აქ მართლაც უმეცარი უნდა იყო, რომ ვერ გაიგო და ვერ მიხვიე ვინ ლაპარაკობს ემუხვარის პირით და რა ალაპარაკებს მას. ჩვენ «უმეცარნი» მართლაც ვფიქრობთ, რომ ბათუმი და მისი ოლქი ეკუთვნოდა და ეკუთვნის საქართველოს, «კავკასია» და მისი ჭკვიანი ქართველები კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამტკიცებენ, რომ ის ეკუთვნის ოსმალეთს და ამ დავის გადასაჭრელად არამც თუ მიხ. წერეთელი, არ მგონია «კავკასია»ს რედაქციას გარეშე აღმოჩნდეს ისეთი დამთხვეული ქართველი, რომ ვლ. ემუხვარს მის მიერ მოწოდებულ სამარცხვინო სასამართლოში გაჰყვეს.

თავის მუხანათური წინადადების დასაცავად ვლ. ემუხვარი ისტორიასაც იშველიებს და ამბობს: «ვინც ფიქრობს, რომ სადაო ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა, მან უნდა დაამტკიცოს შეუძლებელი რამ ე. ი. იურიდიული მემკვიდრეობა იმ ისტორიული საქართველოსა და 1918 წელს ბათუმში შობილ საქართველოს შორის. ისტორიულად სადაო ტერიტორია არა საქართველოს, არამედ ოსმალეთს ეკუთვნოდა»-ო (ხაზი ჩვენია) და სხ. «ოსმალეთმა ბათუმი წაავგლიჯა ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთს, მაშასადამე ბათუმი ოსმალეთის იყო»-ო და სხ. ამას სწერს ვ ემუხვარი და ამას ბეჭდავს «კავკასია» და არც არავითარ შენიშვნას არ უკეთებს. ამაზე მეტად ოსმალეთის ინტერესების დაცვა თავის სამშობლოს წინააღმდეგ მართლაც რომ შეუძლებელია და როცა ჩვენ ამას ღალატს ვეძახით—ისინი ჯავრობენ. არსებითად აქ გასაკვირი არაფერია. ასე ყოფილა არა ერთხელ წინეთაც. ერთი აშენებდა, მეორე ანგრევდა, ერთი იცავდა, მეორე ღალატობდა. ასეთი ყოფილა «ბედი ქართლისა»!..

«საქართველოს უფლება ამ ნაწილებზე ემყარება საგარეო უფლებრივ მემკვიდრეობას რუსეთის ნგრევიდან წარმოშობილს»-ო—არ გვეშვება ვექილი ემუხვარი. ქართული ისტორია კი გვიმტკიცებდა და გვიმტკიცებს, რომ ეს ადგილები საქართველოს ეკუთვნოდენ ძალიან დიდი ხნით ადრე, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა. მარა დღეს ვიღა დაგიდევს ისტორიას. ისტორიისა და პასუხის მგებლობის მიხედვით იმაზე უფრო სამარცხვინო დავა, რომელიც დღეს ემიგრაციაში სწარმოებს საქართველოს ამ ნაწილების შესახებ მართლაც რომ შეუძლელი და წარმოუდგენელია. «კავკასია»-ში მოკალათებული ქართველობა საქართველოს ისტორიას მხოლოდ მაშინ სცნობს, თუ ის მათ სასარგებლოდ ლაპარაკობს და თუ არა—მით უარესი ისტორიისათვის...

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის სტილი და ის ლექსიკონი, რომლითაც ემუხვარი და «კავკასია» უმასპინძლდება დღეს ბ. მ. წერეთელს: «წერეთელს არ ესმის», «წერეთელი თვალთ-მაქცობს», «დემაგოგიური პროვოკაცია», «ვერ გაუგია», «ვერ შეუთვისებია», «უფლებრივი მეცნიერების წინააღმდეგ სხვა წყარო ვერ უშოვია, გარდა ვალერიან გუნიას ვოდევილისა», და სხ. და სხ. ეს დღეს. გუშინ ასეთ რამეს არ დასწერდენ, რასაკვირველია. და თუ დღეს ასე ამკობენ--ეს იმიტომ რომ ბ. მ. წერეთელი არაა მომხრე ჩვენი ქვეყნის ნაწილების გაჩუქების და მათთან ერთად არ უარყოფს თავის ქვეყნის ინტერესებს. ბ. ემუხვარი ასე აცნობს თავის მკითხველს მ. წერეთელს: «ოდესღაც ანარქისტი, მერე სოციალისტი, და დღეს «ფაშისტი», თუმცა ფაშისტობას უწუნებს, როგორც სჩანს, რადგან სვამს ფრჩხილებში. მარა მოდი ერთი ასეთი მოწმობა ჩვენ მივსცეთ თვითონ ემუხვარს: ოდესღაც ბოლშევიკი, მერე მენშევიკი, მერე ნაციონალ-დემოკრატი, მერე სულ არაფერი, მერე ნაც.-დემ. ერთი ჯგუფის წევრი, მერე კიდევ არაფერი, ახლა ბამატისტი! ის მოაგონებს მ. წერეთელს იმასაც, რომ «1905 წელს, ილია ჭავჭავაძესა და მარქსისტულ დემაგოგიის შორის ბრძოლაში შენ დემაგოგიასთან იყავი და არა ჭავჭავაძესთან» ო. მე არ ვიცი სად იყო იმ დროს ბ. წერეთელი, მარა ვიცი სად იყო თვითონ ბ. ემუხვარი. ის იყო იმ ჯგუფში ფ. მახარაძის მეთაურობით (ბოლშევიკები), რომელიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას მის მიერ ნახსენებ «ბრძოლაში». ყოველივე ეს ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთხელ კიდევ აღვენიშნა თუ რა ჯურის და რა მორალის ხალხია თავმოყრილი «კავკასია»-ს რედაქციაში.

იქამც იყვენ! ვიჯმნით ეშმაკისაგან!

* * *

«კავკ.» იმავე ნომერში მოთხრობილია შობის ხეზე მომხდარი «ჩხუბის» ამბავი. მარა მოთხრობილია ყოვლად უტიფარი ცილის-წამებით და სიყალბით. მადლობა ღმერთს ამ საღამოზე თითქმის მთელი კოლონია იყო, «ჩხუბი» მოხდა მათ თვალწინ და როცა მის აღწერას წაიკითხავენ «კავკასია»-ში ეჭვი არაა იტყვიან:—ეს რა მატყუარა და ფლიდი ხალხი ყოფილაო. არიან ისეთი პირები, რომელთაც არც სინდისი აწუხებს და არც პატიოსნება ამძიმებს. ასეთ პირებს ჩვენში ეძახიან—იხტიბარ გატეხილს აი სწორედ ასეთ იხტიბარ გატეხილ კაცს შეეძლო დაეწერა რომ «მეთაური და სულის ჩამდგმელი ამ ველური კამპანიისა არის ნ. ჟორდანია *) და «ჩხუბიც» «მისმა ვიწრო ფილარულ წრემ მოაწყო»-ო. დღეს, ხომ ყველამ კარგად იცის ვინ ეწევა, მართლაც «ველურ კამპანიას» სწორედ რომ ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ და იცის ისიც თუ რა მიზნით და რა მოტივით! მარა არა უშავს! დადგება დრო, როცა ყველას მოეთხოვება პასუხი და არ ვფიქრობთ, რომ ეს პასუხი იოლი იქნეს იმათთვის, ვინც დღეს ასე გაშმაგებით იბრძვის თავის ქვეყნის, მისი ინტერესების და მისი მეთაურობის წინააღმდეგ...

გრ. ურატაძე.

---

*) ამ «კავკასია»-ს სულის ჩამდგმელია დღეს ბ. რ. გაბიაშვილი, ის გაბიაშვილი, რომელიც ამდენი წელიწადია თანამშრომლობდა ამ ჟორდანიასთან და როცა მისმა ჯგუფმა გასულ წელს მას პოლ. ცენტრში მუშაობის მანდატი ჩამოართვა—ის ითხოვდა იმავე ჟორდანიასთან თანამშრომლობას პერსონალურად და როცა ეს მისი აჰირებული თხოვნა არ იქნა შეწყნარებული—გაიქცა, ბამატს შეეკედლა და ახლა იქიდან ისვრის ტალახს...

გ. უ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში

(გაგრძელება)

* * *

ქართულ საზოგადოებრივ აზრს ამოძრავებდა იმ დროს ქართული თეატრი. მიუხედავად სასტიკი ცენზურისა მაინდამაინდ მოდაკაწენი დიდის ტაქტით და უნარით სდგამდენ წარმოდგენებს და ქალაქის საზოგადოებაც სიხარულით და თანაგრძნობით ეგებებოდა. აქ ნახული სურათები მაზე მოკმეფდება.

ხალხს დიდათ აღფრთოვანებდა სცენაზე დადგმული «სამშობლო», რომლის ხილვამ მას წარსული აგრძნობინა, დაბანგული გონება გაუფვიძა, მოძრაობაში მოიყვანა. განსაკუთრებით ალტაცებით ხვდებოდა საზოგადოება თეატრის სცენაზე გამოსულ კაკაი წერეთელს, მამია გურიელს, ყაბბეგს, რომლების თავისებურათ წარმოთქმული მთავრობის საწინააღმდეგო ლექსები დაუსრულებელ ვაშას იწვევდა, დემონსტრაციას ახდენდა.

თეატრი და ეს გამოსვლები ერთი უდიდესი საშუალება იყო ხალხის გამოსაფიზიზებელათ ჩვენში.

ქართული თეატრი ეროვნულ ასპარეზზე ღირსულათ იდგა და შეუპოვრათ განაგრძობდა ბრძოლას მის თანამებრძოლ მწერლობასთან.

* * *

ქართული მწერლობის ერთი ნაწილი მუშაობას ეწეოდა ილიას, კაკაის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის მეთაურობით, ბარათაშვილის, ორბელიანების, ივანე კერესელიძის, ერისთავის, დანიელ ჭონქაძის გზას განაგრძობდა. ამათი ღირსეული მემკვიდრენი იყვენ: ალექსანდრე ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი, ვაჟა ფშაველა და შემდეგი ახალგაზდა მწერლობა.

მეორე ჯგუფი მესამოცე წლებისა რუსეთიდან დაბრუნებულენი მწერლობასთან ერთად ხალხში პროტესტიულ მუშაობას შეეცადენ, და, როგორც რუსეთში «ნაროდნიკები», ისინი ხელოსნებში და ნორჩ ახალგაზდობაში წრეების მოწყობას და ქადაგებას შეუდგენ...

ესენი იყვენენ ყველა წრიდან, უმთავრესათ ღარიბი ახანაური შვილები და სასულიერო წოდებიდან გამოსულნი.

გლეხობა ჯერ კიდევ არ ჩანდა საზოგადო ასპარეზზე და, ბატონყმობა თუმცა გადავარდნილი იყო, უმიწაწყლო, უტესენ, საძოვრის უქონლობის გამო გლეხობა ისევ ბატონის ხელში რჩებოდა, ღალაში და გადასახადში სული ხდებოდა, რასაც სახელმწიფო გადასახადი, ბეგარა ზედ ემატებოდა... ნამდვილი ბატონ-ყმობის გადავარდნას უცდიდა, ამისთვის ცხოვრება მას სპრძოლველათ ამზადებდა.

რუსეთში «ნაროდნიკული» მოძრაობა ხალხის განთავისუფლებას, რეფიმის შეცვლას მოითხოვდა, ჩვენში კი ამას ზედ დაერთო ეროვნული საკითხიც, რის გამო ჩვენ «ნაროდნიკებს», ხალხოსნებს, ანუ «ტერიტორიალისტებს», როგორც მაშინ ეძახდენ, ბევრი გამოჩენილი მთავრის შვილები და თავადებიც ემხრობოდენ, ბინას აძლევდენ, ყოველნაირ დახმარებას უწევდენ; რაკი აჯანყებებით ვერას გავხდით რუსეთის წინააღმდეგ, ვინ იცის, ეგეც «ნაროდნიკებისა» საშველებით რამე გვეშველოსო! ამნაირად სოციალ-პოლიტიკური ინტერესი ერთად წამოიჭრა ასპარეზზე. რამაც ახალ იდეიას ძალა შემატა, სამოქმედოთ აღფრთოვანა.

უმიწაწყლოთ განთავისუფლებული გლეხობა, ყმების ჩამორთმეული უკმაყოფილოთ თავადობა, სამშობლოს დაკარგვით გულმოკლული მეფის შთამომავლობის მემკვიდრენი, ბედის მაძიებელი მთავრის შვილები, საეკლესიო მამულების დამკარგავი სასულიერო წოდება, შკოლებში ქართული ენის დევნა, დიდ მოხელეებათ ქართველების არ მიღება, სახელმწიფო გადასახადების სასტიკი წესით აკრეფა, ბეგარაზე ძალით გაწვევა, მათრახის ცემა, მხეცური მოპყრობა—აი ნიადაგი «ხალხოსნური» მოძრაობისა...

მრავალ აჯანყებებიდან გამოსული ქართველი ერი, მისი მოწინავე საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა მასთან მისული «ნაროდნიკულ» ჯგუფს და მისი აზრების შეთვისებას შეუდგა.

«ნაროდნიკულ» აზრების გავრცელებას საზოგადოებაში ხელს უწყობდა ამ ჯგუფის პირადი ღირსებანი: უმადლესი სწავლითა აღჭურვილნი, საკაცობრიო იდეალების ძმობა ერთობისათვის მეტრძოლნი, საფრანგეთის დიად რევოლიუციის აზრებით გატაცებულნი, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ბელინსკის, პისარევის, ლავროვის იდეების გაფლენის ქვეშ მყოფნი ახალგაზდანი, უანგარონი, ხალხის ბედნიერებით გატაცებულნი.

ქართველი ახალგაზდებისათვის დიდი იყო სახელი ნიკო ნიკოლაძისა, რომელიც მესამოცეს წლებში სტუდენტების არეულობაში ერია, პეტერბურგის და კიონ მტატის ციხეში იჯდა. ჩერნიშევსკის ოჯახში დადიოდა, პარიზში იყო, ჟურნალ-გაზეთებში გამბეჭდავ წერილებს წერდა, ოთხმოციან წლებში—რუსეთის მთავრობის და რევოლიუციონერების შორის მოლაპარაკებას აწარმოებდა.

ამ «ნაროდნიკულ» ჯგუფიდან მე ვიცნობდი ზოგ მთავარ პირებს და ზოგ მათ მიერ დაზრდილ ახალგაზდებსაც. ესენი არიან: ნიკო ნიკოლაძე, ქორაჯიძე (ბალადიდელი, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ალმრდელი პირველი ლექსი «დედა-ენა»-ში, «მახსოვს პირველათ სასწავლებელში»), ვახტანგ გურიელი, ისიდორე ქიქოძე, მოსე ქიქოძე, გერასიმე ყალანდარიშვილი (რომლის მეუღლე ნინო ქიქოძე დაქვრივების შემდეგ გიგო შარაშიძეს გაყვა ცოლად და მთელი რუსეთი ნაროდნიკული ბიბლიოთეკა გიგოს და მისი შვილების საკითხვაი შეიქნა), კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე წულუკიძე. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), ვოლსკი, სოფოომ მგალობლიშვილი, ვანო ლიაძე, ალ. ხახანაშვილი. ნიკო ხიზანიშვილი, გიგო ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე, მაჩაბელი, ალექსანდრე ყაბბეგი, ანტონ ფურცელაძე. გოლა ჩიტაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი (შემდეგ ანარხისტი), ივანე ჯაბადარი, ტტეფანე ჭიელაშვილი, ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა ფშაველა), მ. კერესელიძე, მ. მგალობლიშვილი, ნ. ლომაური, ი. დავითაშვილი, ი. მაჭავარიანი, ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიევი, მეღვინეთუხუცესი, მესტაბმე ავსენ კალანდაძე. მღვდელი სამადიშელი, მ. ყიფიანი. ნიკო ლომაური (რომლის მამა სწავლობდა სარატოვის სემენარიაში ჩერნიშევსკათან), ალ. ყაზბეგი—მოჩუბარიძე, ზაქარია ჭიკინაძე. გიორგი ლასხი'შვილი, დ. ნადირაძე—(დ. მაჩხანელი), შ. ბილანიშვილი და მრავალი სხვები.

ამ «ხალხისნებს» მთელ საქართველოში ქონდათ კავშირი, მიეუხედავად მაშინდელი უგზო უკვალობისა და ნივთიერადაც კარგი შეძლება ქონდათ.

(გაგრძელება იქნება)

ვლასა ᲙᲣᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

საბჭოთა რუსეთის გლეხობა დიდი ხანია გაერკვა ხელისუფლების მიერ შექმნილ სასოფლო-სამეურნეო არტელების დანიშნულებაში ის დარწმუნდა, რომ ისინი შეადგენენ სხვისი შრომის ნაყოფის მიმთვისებელ ორგანოებს.

კოლმეურნეობის წესდებათა შეცვლა, ათასგვარი შესწორება მხოლოდ გლეხობის თვალის ასახვევი გამოდგა; ყველაფერი ეს კი იყო საშვალებანი მათზე მკაცრი კონტროლის დასაწესებლად.

ადგილობრივ პარტიულ უჯრედის მიერ შექმნილ გამგეობის ნება-სურვილზეა დამოკიდებული შრომა დღის სისწორით აღნუსხვა, ნაშრომის ხვედრის წვეტეზე დარიგება. ისინი მოვლინებულნი არიან, ადგილობრივად ნატურალური დანაკვეთები სისწორით შეუსრულონ სახელმწიფოს და ის მას თავის დროზე ჩააბარონ.

კოლმეურნეობის ბიუროკრატიული აპარატის ზრდა ხდება გლეხობის ხარჯზე. მისი ნაშრომით არხეინად დროს ატარებს მცირე რიცხვი უსაქმო ხელმძღვანელთა. ამ აპარატის მიმართ გლეხობის სიძულვილი დიდია და ის თანდათან იზრდება. მისადმი ნდობა დიდი ხანია დაკარგულია.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ოდნავ გლეხობის გულის მოსაბრუნებლად რამდენიმე წლის უკან ხელისუფლებამ ნება დართო კოლმეურნეთ შეეძინათ მცირე ნაკური მიწისა პირად სარგებლობაში, ყოლოდათ აგრეთვე განსაზღვრული რიცხვი შინაური პირუტყვისა. სრულიად ბუნებრივია, რომ კოლმეურნეობაში ნახევრად მშიერმა გლეხობამ ხელი ჩაჰკიდა ამ უფფლებს, გამოიჩინა მეტი უნარი და ენერგია, მოახერხა ადგილობრივ კოლმეურნეობის გამგეობისგან იჯარით მიწის აღება, შეიძინა მომეტებული რიცხვი ოთხფეხისა.

საკუთარი შრომით მოწეული ჭირნახეული მან გადაბალა და საკუთარი ოჯახის გამოკვებას მოახმარა, ან შავ ბაზარზედ გაიტანა და მაღლუად გაყიდა. დიქტატურამ საკუთარი ხელით შეუქმნა საშინაო სოფელში კოლექტიური მეურნეობის წარმოებას. ინდივიდუალური მეურნეობის განვითარება საშინაოზის უკადის სახელმწიფოსაგან ნატურალური გადასახადების მიღებას, უზარმაზარ ბიუროკრატიისა და ჯარის გამოკვების საქმეს.

ეხლა საბჭოთა პრესა მოითხოვს ბოლო მოეღოს საკარმიდამო საკუთრების გაფართოებას. არსებულზე კი მტიკეკ კონტროლო უნდა დაწესდეს და სასტიკად დაისაჯოს ურჩი გლეხები. რომლებიც «ძირს უთხრიან სოციალისტური მეურნეობის წინსვლასა და აყვავებას».

იგზავნება ინსტრუქციები, სადაც ნათქვამია, რომ სტალინის «ნაბოძები» ცუდად იქნა გაგებული: საკარმიდამო ნაკვეთს, საკუთარ პირუტყვის ყოლას აქვს მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა, ხოლო მთავარია კი საზოგადოებრივი «სოციალისტური მეურნეობა»-ო.

დაშინებული, ხელისუფლება უკან იხევს, გუშინ გაცემული, ფრთაშეკვეცილი რეფორმა უკან მიაქვს და შემუსერით ემუქრება გაჯიუტებულ გლეხობას. უკანასკნელის დაპირისპირება დიქტატურისადმი ერთხელ კიდევ საეჭვაროაზე გამოდის. ათეული წლების შემდეგაც ცხადი ხდება, რომ გლეხობა კვლავ მიისწრაფვის შექმნაა დამოუკიდებელი შრომის პირობები, ექნეს მას საშვალება თავის გამოსაკვებად, შემოფარგლოს საკუთარი კარმიდამო და საბჭოთა ნაძალადევ მზრუნველობისაგან თავი დაიცვიოს.

ახალი უთანხმოებიდან გამარჯვებული ალბათ დროებით ხელისუფლება გამოვა. მაგრამ გლეხობა მისთვის საიმედო ალარ არის. მათ შორის ხდები ჩატეხილია.

იხარი.

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲩᲔᲮᲝᲗ-ᲚᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲓᲐᲜ

მიუნხენის კონფერენციამ და ვენის არბიტრაჟმა ერთი ხელის დაკვრით შეკვეცეს ტერიტორიალურათ და დაადარბა მატერიალურად ჩეხო-სლოვაკიის სახელმწიფოო. მან დაკარგა გერმანიის, პოლონეთის და ვენგრიის ხელში გადასული ტერიტორიასთან ერთად (პირველი რესპუბლიკა—140.508 ოთხ. კილომ., მეორე რესპუბლიკა—98.912 ოთხ. კილ.) 33 პროცენტი მთელი მისი სამრეწველო ფაბრიკა-ქარხნების და მით შეამცირა 35 პროცენტით მისი უცხოეთში გასატანი შესაძლებლობის ღირებულება. ახალმა ჩეხო-სლოვაკიამ მიიღო დღეკვანდელ მის ტერიტორიაზე 180 ათასი ლტოლვილი, ამ მეზობელთა ხელში გადასულ ტერიტორიიდან რომ აიყარნენ, ეს შინაური ლტოლვილნი, როგორც აქ ამბობენ. ამათში არის ათი ათასობით სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოხელეები, მსახურნი,—რომელთა მოწყობა ადგილებზე, სამსახურში და მათი საერთოდ უბრუნველყოფა შეადგენს რესპუბლიკის გადდაუდებელ ამოცანას. პირველ რესპუბლიკის მიერ ნაანდერძევი აუარებელი გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი საკითხების უბრალო ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ მშრალად მხოლოდ, რომ პრემიერი ბერანის მთავრობა «დიდი

ენერგიით ცდილობს უპირველესად შექმნას შინაური ცხოვრების კონსოლიდაცია. თუგინდა ჯერ კიდევ სავსებით არამკვიდრი სახელმწიფოში (როგორც იქით, ცდა ახალი სახელწიფოს გარანტიისა ჯერ დაგვიანებული არაა) მასზუნდა მოაგვაროს ეკონომიური და სოციალური საკითხები. ადადგინოს დაჭრილდასეფილი მისვლა-მოსვლა, შეადგინოს სრულიად არაჩვეულებრივ პირობებში ხარჯთაღრიცხვა, როგორც ფედერალური მთავრობის, ისე ცალცალკე რესპუბლიკებისთვის და სხ.

თვითონ პრემიერი თავის საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედად აცხადებს: მოვალე ვარო ყოველნაირი ღონისძიება ვიხმაროთ, რათა თვითეული მუშა, მშრომელი, ერის წევრი, იყოს რიგიანად და სამართლიანად დაჯილდოებული მის მიერ გაწეული შრომისთვის. ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს გადაჭრით სოციალური—აცხადებს ის. თვით პრემიერი ბერანის პარტია—ეროვნული გაერთიანება—ამას უმატებს: ჩვენმა მთავრობამ სინდისიერით უნდა იზრუნოს როგორც მუშის, ისე ვლეხის, როგორც ვაჭარ-ხელოსანის, ისე ინტელიგენტის ინტერესებზე. მოსპობილ უნდა იქნას დაუმსახურებელი პრივილეგიები მქონებელთა წრეების, ისინი უაღრესად მოვალენი არიან იზრუნონ გაეგივრებულთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ყოველნაირი ეგოიზმი აღმოფხვრათ და ინტერესი კერძო დავუმორჩილოთ საერთოს, საზოგადოსო.

ამ განცხადებების მოსმენასთან ერთად ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს ყოველდღიური ზომები, რომელთა შედეგები წარმოადგენენ სრულიად გარდაქმნას დღევანდელი სტრუქტურის ჩვენს საზოგადოებრივობის და უფლებრივი წესებისა. ბერანის მთავრობამ ამ მოკლე ხანში გამოსცა ასზე მეტი კანონი და დეკრეტი, თანახმად მისადმი მინიშებული განსაკუთრებული უფლებებისა. ავტორიტეტიული დემოკრატიის აღმასრულებელი ორგანო ცდილობს თავის ამოცანის გადაჭრას: ყველა უადგილოსი სამუშაოზე დაყენებას, 180 ათასი ლტოლვილის ერის ეკონომიურ ცხოვრებაში ხელახლა ჩაბმას, 140 ათასი უმუშევრის სამუშაოზე გაგზავნას, ყველა მშრომელის სამართლიანი ხელფასით დაჯილდოებას. დავასახელოთ ზოგიერთი: მოხდა დიდი ცვლილება სახელმწიფოს დიდი მოხელეების არსებულ შემადგენლობაში (შემცირება მათი რიცხვის, შემცირება დიდი ჯამაგირების), შემცირებულ იქნა სამინისტროთა რიცხვი, რამოდენიმე გაერთიანდა ერთი ეროვნული შეფის ხელში. უნდა დათხოვნილ იქნან სახელმწიფოთ და საზოგადო სამსახურიდან გათხოვილი ქალები, რომლებიც ათასობით უბრუნდებიან, როგორც აქ ამბობენ, ოჯახს. ათასობით და ათიათასობით მიდის პენსიაში მოხე—ები, რომლებმაც კი დაწესებული ნორმის მინიმუმი დაიმსახურეს. როგორც პენსიაში წასულ პირთა, ისე ძველ გადამდგარ მოღვაწე და მუშაკთა ადგილის დაუფარნელივ იკავებენ ახალი პირები. ხდება «გამოცვლა სადარაჯოზე». პირველი ხანების ლოზუნგი—წინ ახალგაზდები. გზა მიეცით ახალგაზდებს, სულ მოკლე ხანში შეიცვალა ასეთნაირად: გზა მიეცით უფრო ნიჭიერთ, უფრო გამრჯელთ. გავწვრთნათ ახალგაზდობა. მიეცეთ მათ გამოცდილება.

დაწყებულია დიდი ფართო სახელ მწიფო და საზოგადო ხასიათის სამუშაობები: შარა-გზები. ავტოსტრატები, თრრიენები და სხვა. დგება მუშათა ბრიგადები; არც ერთი მუშა სამუშაოს გარეშეა, ყველა ჩავადათ სამუშაოში (ამეამათ ჩეხოსლოვაკიაში უმუშევართა რიცხვი ადის 140 ათასამდე და ეს თითქნის მხოლოდ ჩეხეთში. 6 მილიონს 804 ათას მეცხოვრებთან 49.301 ოთხ. კილ-ზე, 140 სული ერთ კილომეტრზე).

დიდი სიმწვავეთ სდგას, და შეიძლება მიიღოს დიდათ ტრაგიკული ხასიათი უცხოელების და კერძოდ ებრაელების საკითხმა. პირველი რესპუბლიკის დაცემისთანავე პირველ რიგში ზამოყენებულ იქნა ებრაელ და გერმანელ ემიგრანტთა საკითხი. ეს უკანასკნელნი გრძნობდენ რა მდგომარეობის სერიოზულობას, პირველ დღიდანვე ორგანიზაციულად. თუ ინდივიდუალურად, შეეცადენ წასულიყვნენ აქედან. ღღემდე უკვე რამოდენიმე ათასმა უცხოელ მა ემიგრანტმა დასტოვა ჩეხოსლოვაკია. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში: ამათი რიცხვი ფერის 50 ათას სულს (20.000 ებრაელი, 15.000 გერმანელი, 5 000 ავსტრიიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან და სხ.) ჩეხოსლოვაკიამ 4 მილ. გირვანქა სტერლინგიც კი მიიღო ინგლისაფორგეთიდან, მხოლოდ და მხოლოდ ლტოლვილთა გასასტუმრებლად.

არის კიდევ ემიგრანტთა, უმთავრესად ებრაელთა მეორე წყება, რომელნიც უკვე გახდნენ ჩეხოსლოვაკიის მოქალაქენი, და აი მათი მოშორების საკითხიც დადგა ეხლა დღის წესრიგში. ყველა ამავეის რადიკალურად და ერთბაშათ გადაწყვეტის მიზნით გამოკვეყნებულ იქნა გუშინ ორი ერთიმეორესთან მჭიდროთ დაკავშირებული კანონი: პირველი ეხება გადასინჯვას ჩეხო-სლოვაკიის მოქალაქეობის მთელ ფედერაციაში 1918 წლის 1 ნოემბრიდან, მეორე კი გადასინჯვა უცხოელთა ცხოვრ ების აქ ნებართვის, რამდენათაც ისინი ემიგრანტები არიან. კანონში ეკითხულობთ—თვითეულს ხელახლა უნდა დაუფასტურდეს მოქალაქეობის უფლება და, თუ ეს არ მოხდება, გადასახლებულ იქნას რესპუბლიკის საზღვრებიდანთ; ყველა უცხოელი-ემიგრანტი კი, განუურჩევლად რასიულობისა, ეროვნებისა და საარმუნეობისა მოვალე არის ვანსაზღვრულ დროში (1-6 თვემდის) დასტოვოს ჩეხო სლოვაკიათ. ყველა გახეთებმა და ჟამოცემებმა პირველ გვერდზე ადფრთოვანებინთ მოათვალეს მთელი ტექსტი ახალი კანონის: ემიგრაციამ უნდა დასტოვოს ჩეხო-სლოვაკია, განსაკუთრებით დიდანმა უკანასკნელად შემოხიზნულმა ებრაელებმაო და ათავენენ შემდეგნაირად:—ჩვენ ხალხს შეუმცირდა ულუფა, ის დაღარიბდა; მოვალე ვართ ვიზრუნეთ იმ ათას და ათიათას ჩეხის ოჯახებზე, რომლებმაც უკვე დაკარგეს არსებობის წყარო. სახელმწიფოს გარდაუვალი მოვალეობაა გადაწყვეტოს საკითხი უცხოელთა ელემენტების და ამის წინაადმდეგ არავის არაფერი სთქმელი არა ექნებაო. ორიოდე გზეთი კი ათავენს თავის შენიშვნებს სურვილით, რომ მოწოდებული ორგანოები შეეცდებიან ნაკლებ დაზარალდეს რუსეთის ემიგრა-

ცია ამ კანონების გატარების დროსო (ორგანოებს) უფლება აქვს ინდივიდუალურად ესა თუ ის პირი დატოვოს რუსეთ(ლიკ)ანაში).

თქვენ, რასაკვირველია, პირველ რიგში გეინტე რესებათ აქაური მცირერიცხოვანი ქართველი ემიგრაციის ბედ იღბალი. ეს ემიგრაცია უკვე 16-17 წელიწადია ამ ქვეყნის მუდმივი სტუმარია, თავის დიდუმრავლესობაში წყნარი, მშვიდობიანი და ვისაც მასთან საქმე ჰქონია და ის გაუცვნია, მუდამ მისი კმაყოფილი იყო. მისი რიცხვი დღეს მთელ ფეოდორიცაში შორის 20-22 სულს, ნახევარი ამათგანი უკვე რუსეთ(ლ)ეკის მოქალაქენია. ვერაფერს დღეს ვერ გაკნობებთ. თუ რა ბედი ეწვევა მას. ახლო მომავალში ის გამოირკვევა და ჩვენც არ დავაყოვნებთ მოგაწოდოთ ის მორიგ ინფორმაციაში.

ამ. ლიტ—ძე.

პრაღა, 3 თებერვალი.

სოციალისტური ინტერნაციონალი

სოც. ინტერნაციონალის ეკზეკუტივის ამ წლის იანვრის (14-16) სესია საინტერესო იყო მით, რომ იქ არჩიოდა მეტად სერიოზული საკითხი—ბრძოლა დემოკრატიის და ზავისათვის. დღის წესრიგში მხოლოდ ეს საკითხი იყო და მის შესახებ დისკუსიები და კამათი სამი დღე გრძელდებოდა.

ეს საკითხი ამ ორი წლის წინეთ ინტერნაციონალში ბოლშევიზანების მიერ იყო წამოყენებული. ისინი ევროპაში დღეს არსებულ დემოკრატიას დრომოჭმულად, რეაქციონურად სთვლიდენ და მის დასაცავად ბრძოლა მიზანშეუწონლად და მავნებლადაც მიიჩნდა. მათი აზრით დემოკრატიისათვის ბრძოლა ამავე დროს უნდა იყოს ბრძოლა სოციალიზმისთვის. უსოციალიზმოთ მათ დემოკრატია არ სწამთ. სოციალიზმი—დემოკრატიის მისაღწევათ მათ საშუალებებიც თავისებური აქვთ. ერთი ფრონტი კომუნისტებთან. დიქტატურა მუშათა კლასისა—აი გზები. რომელიც უფრო დანამდვილებით მიგვიყვანს საბოლოო მიზნამდეო. რაიმე კავშირი და თანამშრომლობა ბურჟუაზიულ კლასებთან მათთვის მიუღებელია.

ამ ბოლშევიზანურ მიმდინარეობასა ინტერნაციონალში წინეთ ყავდა ისეთი ძლიერი პროგვნება და თეორეთიკოსი, როგორც ოტო ბაუერი იყო. მის ირგვლივადაც, თუმცა მცირერიცხოვანი, მაგრამ კომპაქტიური ჯგუფი არსებობდა.

გასული იანვრის ეკზეკუტივის სესიაზე კი ბოლშევიზანები იმავე აზრებით და მეთოდებით მოგვევლინენ, მხოლოდ, ვითომ, დანის მეთაურობით. კრების გახსნისას დანმა არ დაიკალა დიდი და ლეგალური პარტიების წარმომადგენლებს, მოასწრო მათ და პირველმა აიღო სიტყვა დებატების დასაწყებათ. თუ დანის სიტყვას თითქმის ყველა აპრეციაციებდა და მას დამცველი არავინ გამოუნია, ეს უმთავრესად აიხსნება მით, რომ დღეს საერთაშორისო მდგომარეობა სულ სხვაა, ვიდრე ამ ორი წლის წინეთ იყო და თვით ცხოვრებამ დაგვანახვა ბოლშევიზანური აზრების უსუსურობა.

კრების დიდი უმრავლესობა საჭიროდ ცნობდა ევროპაში დღეს არსებულ დემოკრატიის დაცვას და ზოგ მინი შეცდომების გამოსწორებას, უარსყოფდა როგორც კომუნისტებთან რაიმე საერთო ფრონტს, ისე დიქტატურის ბრძოლის საშუალებათ გამოყენებას.

ჩვენი პარტიის წარმომადგენელი—ამხ. კ. გვარჯელაძე განსაკუთრებთ ხაზს უსვამდა კომუნისტებთან ერთი ფრონტის უვარგისობას და მაგალითად მოყავდა ის ფაქტი, რომ საფრანგეთში ამ პრაქტიკამ დიდი მავნებლობა მოუტანა ოროგორც პროფეკსინონალურ მოძრაობას, ისე საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას და ოროივე ამ ორგანიზაციის რიგებში დიდი არეგ დარეგა შეიტანა.

ბევრ სხვა დელეგატებთან ერთად ჩვენი წარმომადგენელიც უარსყოფდა დიქტატურას, როგორც ბრძოლის საშუალებას დემოკრატიის და სოციალიზმის მისაღწევად და ამის საწინააღმდეგოდ და საინტერესოდ მოყავდა ის მოვლენები, რომელსაც დღეს ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში, სადაც საშინელი ბარბაროსობაა გამეფებული და ადამიანის თავისუფალი აზროვნება და მისი ღირსების დაცვა შეუძლებელია.

ზავის პრობლემის შესახებ ამხ. გვარჯელაძე შემდეგს ამბობდა:

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში არასოდეს საერთაშორისო მდგომარეობა არ ყოფილა ისე რთული და ომი მოსალო

ლინი და მისი რეჟიმი, თუ, რასაკვირველია, არ უნდა, რომ მას საყოველთაო ზიზღით შეხვდნენ და ყოველივე გავლენა სამუდამოდ დაკარგოს ხალხში.

დღეს ერთი დელეგატი ლაპარაკობდა, რომ გერმანია საბჭოთა რუსეთს ეშველებაო და უნდა იქნას მიღებული ყოველივე ზომები კავშირის დასაცავად, რათა მისი ტერიტორიის ნაწილი—უკრაინა სხვების მიერ არ იქნას ჩამოგლეჯილი და ვასალურ მდგომარეობაში ჩაყენებულიო.

ჩვენ ყველა ერის თავისუფლებას მხარს უჭერთ და წინააღმდეგი ვართ იმის, რომ ვინმემ უკრაინა ხელახლად დაიმონოს და ის უბრალო კოლონიათ გაიხადოს. მაგრამ ის დღეს უკვე დამონებული და ღირსება აყრილი არ არის? ის ხომ ამ მონობის წინააღმდეგ ოცი წელიწადია იბრძვის! თუ არ გვინდა, რომ ის სხვამ დაიმონოს, მაშინ რატომ უნდა ემონე ბოდეს ის საბჭოთა რუსეთს?

1925 წელს მარსელში ინტერნაციონალმა მიიღო რეზოლიუციია, რომლითაც ის ცნობს საქართველოს, სომხეთის და უკრაინის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ეს რეზოლიუციია უკან დღემდე არავის წაუღია. მის ნიადაგზე უნდა ვიდგეთ ეხლადაც და საბჭოთა კავშირიდან მათ განთავისუფლებას უნდა ვესარჩლებოდეთ.

თქვენ ხშირად გაგიგონიათ ალბათ, რომ, საზოგადოდ, ემიგრანტებს დიდად სწყდიათ ომის და საერთაშორისო კონფლიქტების გაჩაღებანი, თუმცა ისიც იცით, რომ მათ არ შეუძლიათ კქონდეთ რაიმე გავლენა მიმდინარე დიდ მოვლენებზე.

დიდი ომის დროს რუსეთმა საქართველოდან სხვადასხვა შორეულ ფრონტებზე გაიწვია 200.000 ქართველი და ქართველ ერს მაშინ დიდი მსხვერპლი გააღებიეს. შესაძლებელ მომავალ კონფლიქტის დროს მოსსოფი შეეცდება სხვადასხვა ფრონტებზე კიდევ მეტი ქართველი გადაისროლოს და მით დღევანდელ გამანადგურებელი საომარ ტეხნიკამ ქართველი ერის კიდევ მეტი ზვილები შეიწიროს. მე მაშინებს ეს შესაძლებლობა და ძლიერ მინდა, რომ საქართველო განთავისუფლდეს სხვისი ბატონობისაგან ისე, რომ მან რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაღვაროს. მას ეყოფა ის მსხვერპლიც და სისხლის ღვრა, რომელიც მან ბოლშევიკების ბატონობის ქვეშ განიცადა.

აქ წარმოდგენილ მემორანდუმში, თუ ზოგ დელეგატის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში წამოყენებული საერთაშორისო კონფერენციის იდეა. ამბობენ, რომ ამ კონფერენციაზე უნდა დაისვას სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის ყველა სადაო საკითხები—ტერიტორიალური, კოლონიალური და სხვა. აზრია აგრეთვე, რომ იქვე გადასინჯულ იქნას ზოგი ხელშეკრულებები და მით ერთა შორის არსებული უთანხმოება და კონფლიქტი ამოიწუროს. მე არ ვიცი, რამდენად დღეკანდელ პირობებში შესაძლებელია ასეთი ძლევამოსილი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. მაგრამ თუ ასეთ კონფერენციას ადგილი კი ექნება, მაშინ იქ უნდა დაისვას არა მხოლოდ ხელშეკრულებების გადასინჯვის საკითხი. არამედ დაყენებულ იქნას აგრეთვე ზოგი იმ ხელშეკრულების აღდგენის საკითხიც, რომელიც მოძალადეობით და ცალმხრივად იქნა დარღვეული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა ჯარების საქართველოში შემოსვლით.

ინტერნაციონალს წარსულში ქართველი ერისათვის უდიდესი სამსახური გაუწევია, როცა ის მის სუვერენულ უფლებებს იცავდა და ბოლშევიკების მოქმედებას გმობდა. და ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ, თუკი იქნება რაიმე შემთხვევა საერთაშორისო ასპარეზზე პატარა საქართველოს დასახმარებლად, ინტერნაციონალი კვლავ იქნება ჩვენი მექმაგე და დამცველი.

მშვენიერი საღამო

28 იანვარს, ეროარის ზალაში ქართულმა ფილარმონიულმა წრემ გამართა თავის პირველი კონცერტი. ეს წრე სულ ახლად დაარსებული და. ცოტა არ იყოს გვეშინოდა, რომ კონცერტი კარგად ვერ ჩატარდებოდა. სასახარულოდ და სასიამოვნოდ—ეს შიში არ გამართლდა: რაც მოვისმინეთ და ვიხილეთ ყოველივემ მოლოდინს გადააჭარბა და შეიძლება ითქვას, რომ კონცერტმა დასახული მიზანი ბრწყინვალედ გაამართლა და ქართულმა სიმღერებმა და ქართულმა ცეკვამ თავის ქვეყნის სახელს უთუოდ კარგი სამსახური გაუწია. მოვიგალ-რიცხოვანი სახოგადოებანი, ფრიად ნასიამოვნები დაიშალა და თავის კმაყოფილება არა ერთხელ დაადასტურეს იმ მხურვალე ტაშით, რომლითაც ისინი ხვდებოდენ გუნდისა და მოცეკვავეთა ყოველ გამოსვლას.

შესრულებული იქნა თორმეტი ქართული სიმღერა და სამი სხვადასხვა სახის ცეკვა. სიმღერები ისე იყო შეხვავებული, რომ სამპარი, სტრფიალო და სამხიარულო კილო-კავები ერთმანეთს ეცვლებოდენ. გუნდიც საკმაოდ შეწყობილად მღეროდა და საერთო ანსაბლი, მართლაც რომ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. საინტერესო იყო ის ორიოდე უკრაინელი, რომელიც გუნდში მონაწილეობას იღებდა და მშვენიერის შეხმებით ასრულებდა სხვა და სხვა სიმღერების წამოშწყებთა როლს. გუნდი, როგორც ვთქვით, არა ერთხელ გამოიძახა სახოგადოებამ და ყოველთვის მხურვალე ტაშით აჯილდოებდა. ცალკე აღსანიშნავია კ ნი ვარნავე (აკიტერო კოსტის მეუღლე), რომელიც გუნდში არ შედიოდა, რომელმაც იმღერა რამდენიმე ქართული რომანსები და რომელსაც დიდი ხანს არ უშვებდა სცენიდან მადლიერი სახოგადოება. მომდერალთა გუნდს ლოტბარობდა ბ. პოსტოლენგილი. მოსულ ნი ჩვენი ძველი ნაცნობია, მაგ არა ერთხელ გაუმართავს ქართული სიმღერების საღამო ცალკე, თუ 26 მაისის დღესასწაუნეზე, მარა ამ ხელოვან მან თავის თავს ვერ ასჯობა და სცენაზე გამოიყვანა მშვენიერი გუნდი, რომელიც მისი ლოტბარობით ამ კარგად ასრულებდა საპროგრამო სიმღერებს. ყველა ამ სიმღერებს შესაფერი აკომპანიმენტით პიანინოზე მიპყვებოდა უკრაინელი ბ ნი პოსომარენკო, რომელიც

თვით გუნდის წინასწარ მზადებაშიაც იღებდა მონაწილეობას და ამ საღამოსაც გუნდმა მისი ლოტბარობით შეასრულა სიმღერა «ნეტავი გოგო მე და შენ», რომელიც ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ გუნდს მეორეჯერ გაამეორებიეს და ბ-ნი პონომარენკოც მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

მარა, რამაც უდიდესად ასიამოვნა ყველა, შინაური და გარეშე,—ეს იყო ცეკვა. პირველად იცეკვა წყვილებმა: სამი ვაჟი და სამი ქალი ერთად. ეს იყო ჯერ უნახავი ფორმაცია ბალეტური ლეკურისა, სრულიად განსხვავებული ფალიაშვილის ბალეტურ ლეკურისაგან. გადმოგვცეს, რომ ასეთი ფორმა და სტილი ლეკურისა თითქოს არსებობდა ძველად სამეგრელოში. შეიძლება, მარა, ის კი ცხადია რომ ეს ძალიან ლამაზი სურათია და მონაწილეებმაც დიდის გემოვნებით შეასრულეს ის. შემდეგ იყო მშვენიერი კინტოური შესრულებული ისეთი ხელოვნებით, რომ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. დასასრულ წყვილი, ნამდვილი ქართული ლეკური, შესრულებული დიდის სიდარბაისლით და დიდის მიმზიდველობით. სამივე ცეკვა საზოგადოების დაჟინებითი მოთხოვნით განმეორებული იყო.

ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა 12 საათზე და არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვით, რომ ყველა იქ დამსწრე დიდის ხალისით ეწვევა კიდევ და კიდევ ასეთ ქართულ კონცერტს.

კონცერტის დაწყების წინ მშვენიერი ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულ ენაზე როლან ასათიანმა. მან გააცნო დამსწრე უცხოელებს მოკლეთ პროგრამაში მოთავსებულ სიმღერების შინაარსი და მასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ისტორიული და კულტურული მომენტები, რამაც, რასაკვირველია, უფრო გასაგები გახადა როგორც სიმღერის შინაარსი, ისე მისი შესრულება.

დიდი მადლობის ღირსია ფილარმონიული წრის გამგეობა ასეთი კარგის საქმის, ასე კარგად და მშვენივრად მოწყობისათვის. მაგრამ ამათში უნდა გამოვყოთ ბ-ნი სოსო გოგოლაშვილი, რომლის დაუღალავ და დაუშრეტელ ენერგიას უნდა მიეწეროს ამ კონცერტის ასე კარგად მოწყობა და ჩატარება. ეს იცოდა საზოგადოებამ და ამიტომ იყო რომ ის არა ერთხელ გამოიძახეს სცენაზე, მარა არ გამოვიდა, თუმცა როცა კონცერტი გათავდა—ის მაინც დაიჭირეს ფოიეში და დიდხანსაც უკრეს ტაში...

გრ. ურ.

ბიბლიოგრაფია

ანჩინ—«სახელმწიფო და ერი». პარიზი 1939 წ. გამოვიდა ანჩინ-ის წიგნაკი—«სახელმწიფო და ერი». ავტორი ეხება ფრიად რთულ და საინტერესო საკითხებს. პატარა წიგნაკის ფარგლებში, რასაკვირველია, შეუძლებელია ასეთი დიდი პრობლემების ამომწურავად გარჩევა-განმარტება. მაგრამ იმ მიზნისათვის, რომელიც ავტორს დაუსახავს და რომელიც წინასიტყვაობაში აქვს აღნიშნული, შრომა კარგად არის დაწერილი და შესრულებული.

წიგნაკის პირველ თავში განმარტებულია, თუ რა არის სახელმწიფო და როგორი არის მისი მთავარი შემადგენელი ელემენტები. ავტორი უფრო დეტალურად ჩერდება ერთ ამ ელემენტებთაგან—ხელისუფლებაზე, ხსნის და არჩევს მას მისი განვითარების პროცესში: ჯერ იხილავს, თუ რა როლს თამაშობდა ხელისუფლება პირველ ყოფილ ადამიანის ცხოვრებაში, შემდეგ კი არკვევს სახელმწიფოს განვითარების ზოგიერთ მნიშვნელოვან საფეხურებს ისტორიაში.

წიგნაკის მეორე ნაწილში ავტორი დაასკვნის მის მიერ უკვე მოცემულ დებულებებიდან, რომ სახელმწიფო დროთა განმავლობაში თავის განვითარებით და ევოლიუციით ბოლოს და ბოლოს ერად იქცა; სახელმწიფო არის დედა, ერი კი მის პირმშო, სახელმწიფო აკვანია ერისა და, ამ უკანასკნელმა რომ იცოცხლოს და არ მოკვდეს, ის უნდა მოღვაწეობდეს და საქმიანობდეს სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში...

ამ საერთო თეორეთიულ დებულებების საილუსტრაციოთ ავტორს მოყავს საქართველოს შორეულ და მისი ახლო წარსულისაგან ფაქტები, რომლიცაც ის ამტკიცებს, თუ როგორ ვითარდებოდა ქართული სახელმწიფოებრივობა და ქართველობა საუკუნოების გასწვრივ. ავტორის სამართლიანი აზრით ჩვენ ისტორიაში ერთი ეპოქა დაკავშირებული იყო მეორე მის მიმდევარ ეპოქასთან, იღებდა მისგან ამა თუ იმ მემკვიდრეობას, იყო მისი გაგრძელება და ამ გზით ხდებოდა ჩვენი ხალხის წინსვლა და განვითარება. ამ განვითარების პროცესში კი ქართველობას «თავის თავი ერთარსებად, ერთობილად შეუცვნია და აქვს სურვილი ერთად იცხოვროს და ნებისყოფაც, თვითონვე გაუძღვეს თავის საქმეებს».

უეჭველია, ანჩინ-ის წიგნაკი მკითხველს ბევრ მეტად საინტერესო ცნობებს და აზრებს მიაწვდის და ჩვენ ვისურვებდით, რომ ის ქართული ემიგრაციის წრეებში შესაფერისად გავრცელებულიყოს.

პარიზში უდროვოდ გარდაიცვალა ახალგაზდა გ. ნადარეიშვილი, რომელიც დაასაფლავეს პარიზში 26 დეკემბერს.

ახალი წიგნი

მალე გამოვა ამხ. გრ. ურატაძის წიგნი:

საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველო-ში

წიგნი დაყოფილია თავებათ: შესავალი, იდეური და
ლიტერატურული აღორძინება (მე-60 წლები),
პოლიტიკური ბრძოლის დაწყება (მესამე დასი და 1905 წ. რევოლიუცია),
დუმის ხანა, თებერვლის დიდი
რევოლიუცია, ამ.-კავკასიის
კომისარიატი და სეიმი,
საქართველოს დამოუკიდებლობა.

გამოცემა დ. ხელაძის.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuvill*

Le Gérant : René Toussaint.